კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ნათია გაჩეჩილაძე

ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობა და პრობლემები გლობალიზაციის პირობებში

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო
საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ დუდაური - ეკონომიკის
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2020

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობა და პრობლემები, ქვეყნის ეკონომიკაში, ასევე რა გავლენას ახდენს გლობალიზაცია აღნიშნულ ფაქტორებზე. ნაშრომში განხილულია უცხოური ინვესტიციების შემოდინების თანამედროვე მდგომარეობის ტენდენციები, ასევე თუ რა როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. კვლევაში სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, გაკეთებულია ანალიზი ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ქვეყნებისა და რეგიონების და ეკონომიკის სექტორების მიხედვით.

ნაშრომში განხილულ იქნა ის გზები და მეთოდები, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია გაუმჯობესდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში. ნაშრომი პასუხობს დასმულ მიზანს, რომელიც შემდეგი სახით იქნა ფორმულირებული: „კვლევის მიზანია დადგინდეს თუ რა მნიშვნელობა აქვს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვას ქვეყნის ეკონომიკისთვის გლობალიზაციის პირობებში.“ აღნიშნული კვლევის მიზნის თანახმად დადგინდა, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანი სტიმულატორია ეკონომიკის ზრდის, უმუშევრობის დონის შემცირების და ახალი საწარმოო ტექნოლოგიების დანერგვის თვალსაზრისით.

ინვესტიციების ხელის შემშლელ ფაქტორებად გამოვლინდა, ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, სამუშაო ძალის ნაკლები კვალიფიკაცია, არამდგრადი გეოპოლიტიკური გარემო. მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის სულ უფრო მზარდი ტენდენციის თანახმად, წარმოდგენილი ნაშრომი აქტუალურია საკითხით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისთვის.

Annotation

Importance and problems of attracting foreign investment in the country's economy in the context of globalization

Natia Gachechiladze

The paper discusses the importance and problems of attracting foreign direct investment in the country's economy, as well as the impact of globalization on these factors. The paper discusses current trends in the inflow of foreign investment, as well as its role in the development of the country's economy. Based on statistical data, the study analyzes the countries and regions of foreign direct investment in the country and the sectors of the economy.

Problematic aspects are also analyzed, which prevents the attraction of investments in Georgia. The ways and means on which it is possible to improve the inflow of foreign direct investment in Georgia in the conditions of globalization of the world economy were also discussed. The paper answers the goal, which was formulated in the following way: "The goal is to determine the value of the foreign direct investments in the country's economy in the era of globalization."

The aim of the study found that foreign investment is an important stimulator of economic growth, the unemployment rate decrease and the introduction of a new production technology, investment barriers have been identified, gaumrtaoba infrastructure, work force with less qualifications, unstable geopolitical environment. According to the growing trend of global economic globalization, the paper is relevant to a wide range of stakeholders.

შინაარსი

შესავალი.....5

თავი 1. უცხოური ინვესტიციების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები.....9

1.1. უცხოური ინვესტიციების არსი, სახეები და კლასიფიკაცია.....9

1.2. უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში.....18

1.3. უცხოური ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ფაქტორი: თეორიული მიდგომები.....22

თავი 2. საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.....33

2.1. ქვეყანაში შემოდინებული ინვესტიციები ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით.....33

2.2. ქვეყანაში შემოდინებული ინვესტიციები დარგებისა და ეკონომიკის სექტორების მიხედვით.....40

2.3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და გავლენა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე.....43

თავი 3. ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობა და პრობლემები, მათი დაძლევის გზები და მათი შემოდინების გაუმჯობესების გზები გლობალიზაციის პირობებში.....46

3.1. ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემები, მათი დაძლევის გზები.....46

3.2. კვლევა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ქართული ეკონომიკის განვითარებაში.....50

3.3. საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის უცხოური ინვესტიციების შემოდინების გაუმჯობესების გზები მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში.....57

დასკვნა 61

გამოყენებული ლიტერატურა.....66

დანართი.....71

შესავალი

თემის აქტუალობა. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ერთ - ერთი მთავარი საფუძველი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების აქტიური გაფართოება არის. საერთაშორისო ურთიერთობების გლობალიზაცია, როგორც წესი, იწვევს საერთაშორისო კონკურენციის ტიპებისა და მიმართულებების დივერსიფიკაციას, საკუთრების კონკურენციის მეთოდებს და შრომით, ბუნებრივ, ტექნოლოგიურ და საინვესტიციო რესურსებზე კონტროლს. დიდი მნიშვნელობა აქვს ოპტიმალური ეკონომიკური სტრუქტურის შექმნას, სადაც დომინირებს მომსახურება და სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროდუქტები.

შემთხვევითი არ არის, რომ გლობალიზაციის პირობებში, სახელმწიფოები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო, მაღალტექნოლოგიური და ინფორმაციის გაცვლაში, ხდებიან უფრო წარმატებულნი. საერთაშორისო ინტეგრაციის განვითარებით და, შესაბამისად, ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებასთან ერთად, იზრდება ეგზოგენური ფაქტორების როლი სხვადასხვა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ასეთ გარე ფაქტორებს შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს უცხოური პირდაპირი ინვესტიციები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უცხოურ ინვესტიციებს გარდამავალ პერიოდში, როდესაც იცვლება მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, როგორიც არის საქართველო, დამახასიათებელია შიდა ინვესტიციების ნაკლებობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეკონომიკა სულ უფრო ურთიერთდაკავშირებული ხდება გლობალიზაციის პირობებში. ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, თუ რამდენად კონკურენტუნარიანია ქვეყნის ეკონომიკა გლობალურ სივრცეში.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მთელ რიგ ფაქტორებთან არის დაკავშირებული, რომელთა დაბრკოლებით ფუნქციონირება აფერხებს

ინვესტიციების შემოდინებას. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ბერკეტებს წარმოადგენს, პირდაპირი ინვესტიციები განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებისთვის, რომლის მეშვეობითაც ხდება ახალი ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ცოდნის შედინება ქვეყნის მასშტაბით, ასევე გავლენას ახდენს დასაქმებასა და ფინანსურ სტაბილურობაზე. ამ ფაქტორების გათვალისწინების მიხედვით, ქვეყნები აქტიურად ცდილობენ მოიპოვონ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ისევე როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის, ქართული ეკონომიკისთვისაც უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. აღნიშნული ნაშრომი აქტუალურად უნდა მივიჩნიოთ, ორი ფაქტორის გათვალისწინებით, პირველი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა აქტუალურია მსოფლიოს, როგორც განვითარებული ისე განვითარებადი ქვეყნებისთვის, და მეორე, გლობალიზაციის პროცესში დიდ მნიშვნელობას იძენს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქართულ ეკონომიკაში და ბიზნესში. აღნიშნული ორი ფაქტორი ნაშრომს მეტ აქტუალურობას სძენს ფართო აუდიტორიის წინაშე.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია დადგინდეს თუ რა მნიშვნელობა აქვს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას საქართველოს ეკონომიკისთვის, ამ მიმართებით არსებული პრობლემების გაანალიზებას და ქვეყნის პოტენციალის განსაზღვრას ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში.

კვლევის მიზანი გულისხმობს შემდეგი **ამოცანების** დაყენებისა და თანმიმდევრული გადაწყვეტის აუცილებლობას:

- დადგინდეს, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობა და გამოწვევები გლობალიზაციის პირობებში;
- განხორციელდეს, საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი;
- დადგინდეს, ქართულ ეკონომიკაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებული გამოწვევები და პერსპექტივები;

- შესწავლილ იქნას, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის გავლენის დადებითი და უარყოფითი მხარეები ქართულ ეკონომიკაზე.
- უცხოური ინვესტიციების ქართული ეკონომიკის განვითარებაზე ზეგავლენის, ასევე ჩატარებული გამოკითხვით მიღებული შედეგების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდეს დასკვნები და შემუშავდეს პრაქტიკული რეკომენდაციები.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანს წარმოადგენს ქართული სახელმწიფოს როლი გლობალიზაციის პროცესში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. კვლევის ობიექტია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქართულ ეკონომიკაში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. კვლევის თეორიული საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკის თეორიაზე ფუნდამენტური ნაშრომები, რომლებიც ეკუთვნის როგორც ქართველ ისე უცხოელ ავტორებს, ნაშრომები და მონოგრაფიები, რომელიც ეძღვნება უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საკითხებსა და ეკონომიკურ ზრდას, საერთაშორისო კაპიტალის ნაკადებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფორმით, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა, რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაზე და ზრდის ტემპზე. გლობალიზაციის პროცესში უცხოური ინვესტიციების მოძრაობის დინამიკის საფუძვლები, რაც საშუალებას მოგვცემს მართებულად შეფასდეს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ჩვენს მიერ ნაშრომის შესრულების პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

- სისტემური ანალიზის - იგი საშუალებას იძლევა კომპლექსურად იქნეს განხილული შესასწავლი ობიექტი ან პროცესი მისი ერთიანობის თვალთახედვით. ამასთან ითვალისწინებენ შიდა ქვესისტემებისა და ელემენტების მუშაობას, მათ თვისებებსა და თავისებურებებს. მისი გამოყენებით 1.2; 2.3 და 3.3 ქვეთავებში შედარებული იყო უცხოური

ინვესტიციების ქვეყანაში და საერთაშორისო ბაზრებზე მათი შესვლის თავისებურებები, პრობლემები და მათი დაძლევის გზები.

- ლოგიკური მეთოდი - იგი არის რთული სისტემის განვითარების სამეცნიერო აღწერა თეორიულ-ლოგიკური ანალიზის საფუძველზე. მისი გამოყენებით 1.3; 2,3 და 3.2 ქვეთავებში გაანალიზებულია უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინების მეთოდებისა და მისი კლასიფიკაციის განვითარების ეტაპები, ასევე საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების გაუმჯობესების თანმიმდევრული ქრონოლოგია.
- ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდი - იგი არის მეთოდიკა, რომელიც ეფუძნება ტრადიციული სტატისტიკური და მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებას, საკვლევი მოვლენის და პროცესის ადექვატური ასახვის კონტროლის მიზნით. ნაშრომში მრავლადაა მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები და მათი მათემატიკურ-სტატისტიკური ანალიზი.
- რაოდენობრივი (მასობრივი გამოკითხვის) - მისი დახმარებით მესამე თავის 3.2 ქვეთავში განვახორციელეთ რესპოდენტთა გამოკითხვა და გავაანალიზეთ მიღებული შედეგები.

რით განსხვავდება მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წინა კვლევებისაგან. სამაგისტრო ნაშრომის სიახლე მოიცავს იმ ნაკლოვანებების გამოკვეთას, რაც თან ახლავს გლობალიზაციის პირობებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვას ქართულ ეკონომიკაში. ნაშრომის ერთ-ერთ განმასხვავებელ ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში კონკურენტუნარიანი უპირატესობების აღნიშნვა, რომელიც გავლენას ახდენს საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობაზე. ასევე შემუშავდა გარკვეული სახის რეკომენდაციები, უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით, რაც გლობალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია, რათა გაიზარდოს ინვესტიციების ნაკადების შემოდინება, რაც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

თავი 1. უცხოური ინვესტიციების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1 უცხოური ინვესტიციების არსი, სახეები და კლასიფიკაცია

ლათინური წარმოშობისაა სიტყვა ინვესტიცია (investire-შემოსვა) (დ. სიხარულიძე, ვ. ჭარაია 2018) და ნიშნავს ეკონომიკის სხვადასხვა დარგში კაპიტალის ხანგძლივ დაბანდებას. ტერმინს ინვესტიცია გარკვეული დროის განმავლობაში მეტად ფართო მნიშვნელობა მიეცა რამაც განაპირობა სხვადასხვა სფეროში მისი გამოყენება. მან დროთა მსვლელობისას შეიძინა მეტი მნიშვნელობა ვიდრე ის პირვანდელი გაგებით ესმოდათ, როგორც ფულთან ერთგვარი განშორება, რათა შემდგომში უფრო მეტი მოგება მიეღოთ. საქმიანობის მრავალ დარგში ეს ტერმინი მზარდი ინტენსიობით გამოიყენებოდა.

„ინვესტიცია“ დღევანდელი გაგებით არის ყველა სახის საკუთრება და ინტელექტუალური ფასეულობები, რომლებიც ინვესტირებულია სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის ობიექტებში, რის შედეგადაც წარმოიქმნება მოგება (შემოსავალი) ან მიიღწევა სოციალური ეფექტი. უცხოურ ინვესტიციაში მოიაზრება ფინანსური და მატერიალური რესურსები, საკუთრების ან ინტელექტუალური საკუთრების უფლება, რომელიც ექსპორტირებულია ამა თუ იმ სახელმწიფოს მხრიდან და ინვესტირებულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებში, მოგების ან სოციალური ეფექტის მისაღწევად.

ინვესტიციების მიზანს წარმოადგენს წმინდა სარგებლის მოპოვება გაყიდვების გაზრდით, ახალი საწარმოების შეძენით; საქმიანობის დივერსიფიკაცია ბიზნესის ახალი სფეროების განვითარების შედეგად. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტერმინმა გარკვეული ცვლილებები განიცადა ისტორიის მანძილზე და მისი პრაქტიკული გამოყენება სხვადასხვა ეკონომიკურ სფეროთა მიმართულებით დაიწყო. „ინვესტიცია“ ეკონომიკური ტერმინოლოგიური გაგებით ნიშნავს ისეთ ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაბანდებას, რომლის მიზანსაც მოგების მიღება განაპირობებს.

უცხოური პირდაპირი ინვესტიცია ეწოდება, კაპიტალურ ინვესტიციას, რომლის მფლობელი და განმახორციელებელი არის უცხოური ორგანიზაცია. ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ ელემენტებს შორის არის უცხოური ინვესტიციები, რომელიც ეროვნულ წარმოებაში დამატებით წყაროს წარმოადგენს კაპიტალდაბანდების სახით, როგორც ქვეყანაში გარედან შემოსული ინვესტიცია, რასაც თან ახლავს მართვის თანამედროვე მეთოდები, ახალი ტექნოლოგიები, ქვეყნის ეკონომიკური დინამიკისა და მისი სტრუქტურის გადაცემა.

გლობალიზაცია ქმნის ახალ გამოწვევებს და შესაძლებლობებს კაპიტალის მოძრაობისთვის საერთაშორისო დონეზე, რაც მკვეთრად ზრდის ინვესტიციების როლს და ეკონომიკური წინსვლისა და განვითარების ფაქტორს განაპირობებს (Д.В. Беляев 2013). უცხოური პირდაპირი ინვესტიციები წარმოადგენს ერთი ქვეყნიდან კაპიტალური სახსრების შემოტანას, რომელიც სხვადასხვა ზომის თუ ტიპის საწარმოთა საქმიანობაშია ინვესტირებული სამეწარმეო მოგების მიღების მიზნით.

რთული ეკონომიკური მოვლენის არსი, რომლებსაც მიეკუთვნება უცხოური ინვესტიციებიც, მთლიანად არის განვრცობილი მის კლასიფიკაციაში. ფართოდ არის ცნობილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (UNCTAD) კლასიფიკაცია. აღნიშნული კლასიფიკაციის თანახმად უცხოური ინვესტიციები ძირითადად იყოფა პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებად. (UNCTAD. 2009)

ზოგადად უცხოური ინვესტიციების მთელი მრავალფეროვნების კლასიფიკაცია შეგვიძლია გამოვსახოთ ნახაზზე მოყვანილი სახით (იხ. ნახ. 1.1). (О. В. Гордячкова 2018)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განიმარტება, როგორც უცხოური კაპიტალის დაბანდება პარტნიორებს შორის ხანგრძლივვადიანი ურთიერთობის საფუძველზე, და რომელიც გულისხმობს სხვა ქვეყნის ეკონომიკური აგენტის ჩართვას სამეურნეო ორგანიზაციის კონტროლში. ამის შესაბამისად პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მიაკუთვნებენ:





ნახაზი 1.1. უცხოური ინვესტიციების კლასიფიკაცია

1. უცხოური ინვესტორის მიერ კომპანიის აქციების პაკეტის შეძენას, რომლის მოცულობა აღემატება სააქციო კაპიტალის ჯამური მოცულობის 10%-ს.
2. ინვესტორის მიერ მიღებული მოგების რეინვესტიცია.
3. შიდა საფირმო კრედიტის ან მასთან გათანაბრებული ოპერაცია, რომლითაც დარეგულირდება დავალიანება დედა კომპანიასა და შვილობის კომპანიას შორის.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სხვადასხვა ქვეყანაში წილი რომელიც ანიჭებს ინვესტორს კომპანიის საქმიანობაზე კონტროლის უფლებას სხვადასხვაა: აშშ-ში ეს არის 10%-ი, ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებში მიმდინარეობს უნიფიცირების პროცესი და მისი მნიშვნელობა 20%-დან თანდათან მცირდება 10%-მდე, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში იგი 50%-ის ტოლია. ამიტომაც, სხვადასხვა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსებული სტატისტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება. იმის მიუხედავად, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ОЭСР) მიერ შემუშავებულ იქნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზოგადი პრინციპები და ასეთი სტატისტიკის წარმართვის წესები, ყველა მისი წევრი ქვეყნისათვის. (Эталонное определение ОЭСР для иностранных прямых инвестиций. 2008)

პორტფელურ ინვესტიციებად მიჩნეულია კაპიტალის დაბანდება ფასიანი ქაღალდების შეძენაში, რომელიც ინვესტორს არ ანიჭებს უფლებას მიიღოს მონაწილეობა კომპანიის მართვაში. კერძოდ, კომპანიის აქციების 10%-ზე ნაკლების, ასევე უცხოური საწარმოს სასესხო და კომერციული ფასიანი ქაღალდების შეძენა.

საერთაშორისო პრაქტიკაში და სტატისტიკაში პირდაპირი და პორტფელური უცხოური ინვესტიციების გარდა გამოყოფენ სხვა უცხოურ ინვესტიციებს, რომლებსაც მიეკუთვნებიან სავაჭრო კრედიტები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების კრედიტები, უცხო სახელმწიფოს მთავრობის კრედიტები. მაგრამ მათ მხოლოდ პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ ინვესტიციები, ვინაიდან ასეთი სახის კრედიტები, როგორც წესი ემსახურებიან მოკლევადიან სავაჭრო ბრუნვას, ან წარმოადგენენ საგადასახადო ბალანსის დეფიციტის დაფარვის საშუალებას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კლასიფიკაციით სხვა ინვესტიციებს მიეკუთვნებიან ნაღი ვალუტა, გრანტები, რომლებიც გადარიცხულია ქვეყანაში ოფიციალური ან არაოფიციალური წყაროებიდან და არ ითვალისწინებს მათ დაბრუნებას, ასევე წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და სარეზერვო აქტივები. (Л.Н. Красавиной 2000)

ამრიგად, გამოყენების ხასიათის მიხედვით მნიშვნელოვანია გავარჩიოთ სამეწარმეო და სასესხო კაპიტალის გადაადგილება. თეორიულად უცხოური ინვესტიციების ძირითად წყაროს წარმოადგენს გარე სამყაროს დანაზოგები, ე.ი. კერძო და სხელმწიფო სექტორების მიერ კაპიტალის იმპორტი. კერძო სექტორის კაპიტალის იმპორტი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც პირდაპირი და პორტფელური უცხოური ინვესტიციების წყარო, ხოლო სახელმწიფო სექტორის მიერ კაპიტალის იმპორტი კი, როგორც სხვა უცხოური ინვესტიციები.

უცხოური ინვესტიციების დასახასიათებლად ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მათი განხორციელების ვადები. ტრადიციულად, ნებისმიერი დაბანდება ერთ წელზე ნაკლები ვადით მიეკუთვნება მოკლევადიანს, ერთი წლიდან სამ წლამდე - საშუალოვადიანს, ხოლო სამ წელზე მეტი ვადით კი ხანგრძლივვადიანს. საქართველოში განხორციელებული ხანგრძლივვადიანი უცხოური ინვესტიციების, ყველაზე მიმზიდველ ვადას გარანტიის თვალსაზრისით უცხოური ინვესტორებისათვის შეადგენს 3-დან 7-წელს, ვინაიდან გარანტიები უცხოელი ინვესტორებისათვის საგადასახადო სტატუსის გაუარესების ნაწილში ვრცელდება პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის ვადით.

უცხოური ინვესტიციების დასახასიათებლად ასევე მნიშვნელოვანია მათი მიზნის მიხედვით დაყოფა: 1). საწარმოო უცხოური ინვესტიციები ე.ი. ხდება მიზნობრივად კაპიტალის ინვესტირება საწარმოო სფეროში დროის, ლიკვიდურობისა და რისკის გათვალისწინებით; 2). ხეჯირება, რომლის განხორციელება ეფუძნება რისკების მინიმიზაციას გეოგრაფიული, რეგიონალური, სასაქონლო და დარგობრივი დივერსიფიკაციის ხარჯზე; 3). სასესხო უცხოური ინვესტიციები, რომლის მიზანი შეიძლება იყოს პრივილეგიის მიღება კრედიტის გამცემი ქვეყნის ხელისუფლებისაგან, ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად, საკუთარი სტატუსის განსამტკიცებლად და ა.შ. უცხოური ინვესტიციების მოყვანილი კლასიფიკაცია ასევე მნიშვნელოვანია, ვინაიდან მათი განხორციელება განსაზღვრავს უცხოური ინვესტიციების მიზანს, გამოყენების თავისებურებებს და სფეროს.

უცხოური ინვესტიციები სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება ეკონომიკაში, ეს შეიძლება იყოს, როგორც სამომხმარებლო კუთხით განხორციელებული ინვესტიციები, ასევე ფასიან ქაღალდებში და ეკონომიკური ინვესტიცია.

ასევე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დაყოფილია შემდეგი ფორმების შესაბამისად: გრინფილდი და ბრაუნფილდი - გრინფილდი ეს იგივეა რაც პირდაპირი ინვესტიცია, როდესაც ქვეყნის გარეთ მიემართება კაპიტალი საწარმოსა თუ სხვა ტიპის ორგანიზაციის გასახსნელად, რომლის მიზანი მოგების მიღებაა. ამ ტიპის ინვესტიციებით ინტერესდებიან უმეტესწილად განვითარებადი ქვეყნები, სადაც შესაძლებელია სამუშაო ადგილების გაზრდა დაბალი ფასების მეშვეობით, რაც ინვესტორთათვის მომხიბვლელ შეთავაზებას წარმოადგენს. ბრაუნფილდი, ინვესტირების ისეთ სახეა, რა დროსაც უცხო კომპანიის შეძენა ხდება, ახალი კომპანიის შექმნისა და საქმიანობის დაწყების მიზნით. (Brownfield Investment“,CFI)

აქვე უნდა განვასხვავოთ კომპანიათა „შერწყმის“ მომენტი და კომპანიათა „შთანთქმა“. შერწყმის დროს სახეზე გვაქვს ორი თანაბარტოლი კომპანიის შეერთება ერთი ბიზნეს სუბიექტის ჩამოყალიბების და სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად. შთანთქმის დროს მსხვილი კომპანია ახდენს შედარებით მცირე ზომის კომპანიათა შერწყმას. ამ მსჯელობიდან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გლობალურ ეკონომიკაში წილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდავოდ მნიშვნელოვან და ამოსავალ ბერკეტებს წარმოადგენენ. უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის მნიშვნელოვან მასტიმულირებელ საშუალებას წარმოადგენენ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, სწორედ ამ მიზნით მიმართავენ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკები აღნიშნულ მეთოდს, რომლის დროსაც ხდება გარკვეული სახის დათმობებზე წასვლა, რათა ქვეყანაში გაჩნდეს მეტი ინვესტიცია და ინვესტორი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ორ ნაწილად არის გაყოფილი, ესენია: ჰორიზონტალური ინვესტიციები და ვერტიკალური ინვესტიციები.

ჰორიზონტალური პირდაპირი ინვესტიციები წარმოადგენს იმ სახის კაპიტალურ ინვესტიციას, როდესაც კომპანია უცხო ქვეყანაში საქმიანობს. (A.C. Нешитая 2012)

ჰორიზონტალური ინვესტიციები კომპანიებისთვის ორი ფაქტორის მიხედვით არის მომგებიანი: ინვესტირებისას საწარმოს დანახარჯების მცირე მოცულობით ეკონომია და ამასთან ერთად სატრანსპორტო დანახარჯების შემცირება ხდება.

ვერტიკალური პირდაპირი ინვესტიცია - წარმოების პროცესი დაყოფილია რამდენიმე ნაწილად. საწარმოები სხვადასხვა სახელმწიფოთა ფილიალებშია განთავსებული. ვერტიკალური უცხოური ინვესტიციები გაყოფილია ორ ნაწილად:

- რეგრესული - აღნიშნული ფორმა წარმოადგენს ისეთი სახის ინვესტიციას, როდესაც სათაო ფილიალისთვის ხდება საჭირო მასალების მიწოდება, შესაბამისი საწარმოო ნედლეულისთვის ასევე პროდუქციის შესაქმნელად.
- პროგრესული - ინვესტიციის განხორციელებისას სათაო ოფისი ნედლეულით და საჭირო მასალებით ამარაგებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ ფილიალებს.

განასხვავებენ უცხოური ინვესტიციების შემდეგ ფორმებსა და სახეობებს: (Л.Л. Игонина 2010.

- საწყისი ინვესტიციები - აღნიშნული საწარმოს შექმნის დროს ან შეძენის პერიოდში არის განხორციელებული;
- ფართო ინვესტიციები - იძლევა პროდუქტიულობის ზრდის შესაძლებლობების.

კვლავწარმოების მიხედვით განასხვავებენ სამ ფორმას, ესენია:

- მთლიანი;
- განახლებული;
- წმინდა ინვესტიციები.

მთლიანი ინვესტიციები კაპიტალის მოცულობას ახასიათებს, მაშინ, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში არის ინვესტირებული

არამატერიალური და ძირითადი საშუალებების განახლების მიზნით. მთლიანი ინვესტიცია დაკავშირებულია ეკონომიკის რეალურ სექტორთან სადაც არის ინვესტირებული ძირითადი კაპიტალური ინვესტიციები.

რაც შეეხება სარეკონსტრუქციო ინვესტიციებს უნდა მათ მივაკუთვნოთ ისეთი კაპიტალის ოდენობა, რომელიც დაბანდებულია ამორტიზებული არამატერიალური აქტივების რეპროდუქციაში ასევე ინვესტირებულია ძირითად აქტივებში. წმინდა ინვესტიციები დაბანდებულია ძირითად არამატერიალურ აქტივებში. მთლიანი და წმინდა ინვესტიცია საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკისთვის, რომელიც საწარმოო აქტივების გაზრდისკენაა მიმართული (ვ. ჭარაია 2015). ვ, მთლიანი ასევე წმინდა ინვესტიციები ჯამში მოიცავს წლის მიმდინარე პერიოდში გამოყენებული ნახმარი აქტივების შეცვლისა და სრულ რაოდენობას ინვესტიციების ზრდის რაოდენობას. ასევე აღსანიშნავია, რომ საწარმოს რეალურ და ფინანსურ ინვესტიციებს კაპიტალის ინვესტიციის ობიექტები იზიარებს.

რეალური ინვესტიციები - კაპიტალის ინვესტიციის ძირითად საშუალებებს წარმოადგენს. ფინანსური ინვესტიციები კი კაპიტალური ინვესტიციებისათვის არის დამახასიათებელი. ინვესტიციური საწარმოებისათვის ასევე განსხვავდება შიდა და გარე ინვესტიციები. შიდა ინვესტიცია ინვესტიციურ საწარმოს ეხმარება მოქმედი აქტივების განვითარებაში. რაც შეეხება უცხოურ ინვესტიციებს, ეს სხვა ბიზნესის მიერ გაღებული ინსტრუმენტია. ინვესტიციები ინდუსტრიის ორიენტაციის მიხედვით მათი კლასიფიკატორის შესაბამისად შემდეგ სახეობად იყოფა: ინდივიდუალური ინდუსტრია და საქმიანობის სფერო. აღნიშნული კლასიფიკაცია დაკავშირებულია სახელმწიფო რეგულირებასა და ინდივიდუალური ინდუსტრიების ინვესტიციების მიმზიდველობასთან. განსხვავდება მოკლევადიანი და გრძელვადიანი ინვესტიციებიც. მოკლევადიანია ინვესტიცია, რომელიც ხორციელდება დაახლოებით ერთ წლამდე პერიოდში. შესაბამისად გრძელვადიანია ინვესტიციები, რომლებიც ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხორციელდება. (A.C, Нешитая 2012)

ინვესტიციებს დაბანდების მიმართულების კუთხითაც განასხვავებენ: (ა. ოქროცვარიძედა სხვ. 2010)

- ინვესტიციები ფიზიკურ კაპიტალში - მანქანების, დანადგარების, ინფრასტრუქტურის და სხვა სახით. ასეთი დაბანდება მიმართულია კომპანიის სამუშაო პროცესების გასაადვილებლად და მეტი მოგების მისაღებად;
- ინვესტიციები ფიქტიურ კაპიტალში - ფასიანი ქაღალდები, ლიცენზიები, და არამატერიალური აქტივები და სხვა;
- ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში - პერსონალის განვითარება, თანამშრომელთა გადამზადება და სხვა. რაც შემდეგში კომპანიის გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს და მეტ მოგებასაც მოუტანს;
- ინვესტიციები ტექნოლოგიურ კაპიტალში - განათლების დაფინანსება, კვლევითი საქმიანობის დაფინანსება და სხვა.

1970 - 80 - იანი წლების შემდეგ განვითარებადი ქვეყნები ცდილობდნენ ლიბერალური პოლიტიკა ეწარმოებინათ, რაც სიღარიბის შემცირებულ მაჩვენებელთან და ეკონომიკის განვითარებასთან ასოცირდებოდა. ბევრი ქვეყნის მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა, რადგან მათ ნამდვილად შესძლეს და მოიზიდეს უცხოური ინვესტიციები, თუმცა იყო უშედეგო მცდელობებიც.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის ორი ხერხი არსებობს:

- პასიური გზა;
- აქტიური გზა.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის პასიური პოლიტიკის ფორმისას ქვეყნები ცდილობენ მოიზიდონ ინვესტიციები ლიბერალური საკანონმდებლო ბაზის და მინიმალური შრომის ფასად. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის აქტიური პოლიტიკის ფორმის გატარებისას ქვეყნები აწარმოებენ გამჭირვალე სამართლებრივ და ეკონომიკურ პროცესებს, ამასთანავე მიზანმიმართულად ახორციელებენ უცხოელი ინვესტორების დაცვას.

ინვესტიციების მოსაზიდად უმნიშვნელოვანესია მიმღები ქვეყნის სტრატეგია, მისი შეთავაზებები ინვესტორებისათვის.

ასევე აუცილებელია კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ეკონომიკური სტრატეგიის ჩამოყალიბება და ა.შ. ამრიგად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას ძალიან დიდი დადებითი ძვრები მოაქვს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისათვის.

1.2 უცხოური ინვესტიციების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თანამედროვე სისტემის ერთ – ერთი აღსანიშნავი ეტაპია სახელმწიფოთაშორისი საინვესტიციო თანამშრომლობის მზარდი როლი, რაც გამოწვეულია გლობალიზაციის გაძლიერების ობიექტური საჭიროებით ყველა დონეზე. მსოფლიო ბაზარზე და ეროვნულ ეკონომიკებში გაბატონებული პირობები ადეკვატურად ასახავს განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების დიდ ინტერესს გადასვლის პროცესში, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მოცულობის ზრდის თვალსაზრისით. ზოგიერთ ქვეყანაში უცხოური პირდაპირი ინვესტიცია სტიმულირდება იმით, რომ აბსოლუტური ინფრასტრუქტურული უპირატესობები გამოიყენეს დაბალი შრომითი ხარჯების, დაბალი გარემოსდაცვითი სტანდარტების, მაღალკვალიფიციური მუშახელის ან დაბეგვრის ფორმით, რაც ხელსაყრელია ინვესტორისთვის. ამის მაგალითია გაზრდილი პირდაპირი ინვესტიცია სამხრეთ კორეაში ამერიკული და ევროპული კომპანიების მიერ. (Г.Г. Гусейнов 2002)

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში, საინვესტიციო კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ვაჭრობასთან შედარებით. იგი აღარ მოითხოვს მტკიცებულებას, რომ ქვეყნების მდგრადი ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ეფექტური მონაწილეობის გარეშე, მათ შორის, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის სარგებლის აქტიური გამოყენების გარეშე. საინვესტიციო პროცესების სახელმწიფო

რეგულირების ერთიანი ნორმები ფართოდაა გავრცელებული. ისინი მოქმედებენ საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების შესაბამისად, ხოლო ეს უკანასკნელი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების, მაგალითად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO), ეგიდით ხორციელდება. საერთაშორისო თანამეგობრობის ინვესტიციის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი დღეს შეერთებული შტატების ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმომადგენლებმა შეასრულეს. აშშ-ს ექსპორტის დაახლოებით ნახევარი მიეკუთვნება აშშ–სა და უცხოურ ტანკერებს.

ახალი ტექნოლოგიების გადაცემასთან დაკავშირებული გადახდების უმეტესობა ხორციელდება ტრანსნაციონალურ კორპორაციებში (აშშ –ში - 80% – მდე). ტრანსნაციონალური კორპორაციების მთავარი მახასიათებელია პირდაპირი ინვესტიციის არსებობა. მათი გაყიდვების მოცულობა მსოფლიოში 35% -ს შეადგენს, აშშ-ს მრავალეროვნული პროდუქციის ერთი მესამედი წარმოებულია ასოცირებული უცხოური სტრუქტურების მიერ. ტრანსნაციონალური კომპანიების უცხოური სტრუქტურების გაყიდვების მოცულობა უკვე აღემატება მთელ მსოფლიო ექსპორტს ბოლო წლების განმავლობაში შეერთებული შტატები პირველ ადგილს იკავებს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მეტად ახერხებს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მობილიზებას მიზიდვას. (А.Г. Мовсесян 2001)

ამერიკული ტრანსნაციონალური კომპანიების კონკურენტები არიან ევროკავშირის მსგავსი ფინანსური და ეკონომიკური ერთეულები. აღნიშნულ მონაცემებს ასევე ემატება აზიური ქვეყნები, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ჩინეთი, იაპონია და სამხრეთ კორეა, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გლობალურ პროცესში. 2017 წლის საანგარიშო წლისთვის, ევროკავშირში მოქმედი 162466 მრავალეროვნული საწარმოო ჯგუფების შესახებ ინფორმაცია არსებობს და ხელმისაწვდომია ევროჯგუფების რეესტრში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ეკონომიკურ აქტივობებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ტრანსნაციონალურ

კომპანიებს, რომლებიც უმსხვილესი სტრუქტურებით და ბიუჯეტით გამოირჩევიან. ეკონომიკური ცხოვრების გლობალიზაცია არ გამორიცხავს მსოფლიო ეკონომიკის ცალკეულ კომპონენტებს (განვითარებულ, განვითარებად და გარდამავალ ეკონომიკებს შორის) შორის არსებულ განსხვავებებს. საერთაშორისო კაპიტალის შემოდინება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს იმ ფაქტს, რომ ეროვნული ეკონომიკა სულ უფრო და უფრო მეტ დამოკიდებულებას იღებს.

ამასთან, ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა დონის ქვეყნებში უცხოური პირდაპირი ინვესტიცია განსხვავებულ როლს თამაშობს. მოზიდული კაპიტალის ოდენობა დამოკიდებულია იმ მოტივაციაზე, რომლითაც ხელმძღვანელობენ უცხოელი ინვესტორები.

გლობალური ინვესტიციების ნაკადების სტრუქტურა აიხსნება იმით, რომ განვითარებადმა ქვეყნებმა და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა ყველაზე მეტად განიცადეს გლობალური ფინანსური კრიზისი. მათი უმრავლესობა რეცესიას განიცდიდა 90-იანი წლების ბოლოს, ან საუკეთესო შემთხვევაში, ეკონომიკური ზრდის შენელებას. განვითარებულ ქვეყნებში საერთაშორისო ფინანსური ბაზრების არასტაბილურობას ნაკლები გავლენა აქვს რეალურ სექტორის მდგომარეობაზე. მსოფლიოს ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში, ისეთი გეოსტრატეგიული სექტორები, როგორიცაა ნავთობისა და გაზის წარმოება, საინჟინრო ინდუსტრიის ზოგიერთ სექტორი, ასევე აგრო ინდუსტრიული კომპლექსის ცალკეული ქვესექტორები ახდენენ თავიანთი მიმზიდველობის შენარჩუნებას. როგორც გამოცდილებიდან ჩანს, გლობალური ეკონომიკის განვითარების პროგნოზირება მნიშვნელოვანი ამოცანას წარმოადგენს. ახლახანს, 1989 წელს, იაპონიის პარლამენტის ერთ-ერთმა წევრმა თქვა, რომ შეერთებულ შტატებს მომავალი არ აქვს და ამგვარი პროგნოზი დიდ სიურპრიზს არ გამოიწვევდა. 10 წლის შემდეგ, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და იაპონიის წილი მსოფლიო საფონდო ბირჟის კაპიტალიზაციაში 40-დან 10% -მდე შემცირდა. (А.Г. Мовсесян 2000)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები 23 პროცენტით დაეცა და 1,43 ტრილიონი დოლარი შეადგინა. აღნიშნული აშკარაა, რომ მშპ და ვაჭრობის

დაჩქარებული ზრდაა. დაცემის მიზეზი ნაწილობრივ გამოიწვია ტრანსსასაზღვრო შერწყმამ და შენაძენის ღირებულების 22 პროცენტით შემცირებამ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფასდაკლებით დიდი ერთჯერადი გარიგებების და კორპორატიული რესტრუქტურიზაციების შემთხვევაში, რომლებიც 2016 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა გამოიწვია, 2017 წლის ვარდნა მნიშვნელოვანი იყო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, განვითარებად ეკონომიკებში, სტაბილურად მიმდინარეობდა, რამაც შეადგინა 671 მილიარდ აშშ დოლარი, რაც 2016 წელს 10 პროცენტიან ვარდნას მოჰყვა. (World investment report 2018)

ამასთან ერთად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები აფრიკაში კვლავ შემცირდა და მიაღწია 42 მილიარდ აშშ დოლარს, 2016 წელთან შედარებით 21 პროცენტით შემცირდა. შემცირება კონცენტრირებული იყო მსხვილ სასაქონლო ექსპორტიორებში. განვითარებადი აზიის მიმართულებით ნაკადები დარჩა სტაბილური, 476 მილიარდი დოლარი. რეგიონმა დაიბრუნა თავისი პოზიცია, როგორც მსოფლიოს ყველაზე მაღალი ინვესტიციის მიმღებმა. რაც შეეხება ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 8 პროცენტით გაიზარდა და მიაღწია 151 მილიარდ აშშ დოლარს, რაც ამ რეგიონის ეკონომიკურმა გაუმჯობესებამ განაპირობა. ეს იყო პირველი ზრდა ექვსი წლის განმავლობაში, მაგრამ შემოდინება საქონლის ბუმის დროს 2011 წლის მწვერვალზე ჩამორჩება. სტრუქტურულად სუსტი და დაუცველი ეკონომიკების ინვესტიციები მყიფეა. ყველაზე ნაკლებ განვითარებული ქვეყნების ნაკადები დაეცა 17 პროცენტით, 2018 წლის მონაცემების მიხედვით 26 მილიარდამდე. განვითარებულ ქვეყნებს შორის ზომიერად გაიზარდა 3 პროცენტით და მიაღწია 23 მილიარდ დოლარს. მცირე კუნძულების განვითარებადმა ქვეყნებმა დაინახეს, რომ მათი შემოდინება 4 პროცენტით გაიზარდა და მიაღწია 4,1 მილიარდ დოლარს. შიდა ინვესტიციების პირდაპირი ნაკადები განვითარებულ ეკონომიკებში მკვეთრად დაეცა, 37 პროცენტით, 712 მილიარდ აშშ დოლარამდე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გახდა ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ფაქტორი, რაც უფრო სწრაფად მზარდი აღმოჩნდა, ვიდრე მთლიანი შიდა პროდუქტი, ხოლო საერთაშორისო ვაჭრობა და საერთაშორისო კორპორატიული გაყიდვები აღემატებოდა გლობალურ ექსპორტს. ასევე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები უფრო მაღალია ტექნოლოგიურ ნაკადებთან შედარებით, რაც გამოიხატება სალიცენზიო მოსაკრებლით, როიალტით და ა.შ. (World investment report 2018). უცხოური პირდაპირი ინვესტიციები საინტერესოა ნებისმიერი ქვეყნისათვის. უფრო მეტიც, მათ შორის გარკვეული კონკურენციაა, განსაკუთრებით ინვესტიციების მოსაზიდად თუ ეს ხდება იმავე გეოგრაფიულ მხარეში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები მკვეთრად დაეცა განვითარებულ და გარდამავალ ეკონომიკებში, ხოლო განვითარებად ეკონომიკებში სტაბილურია. შედეგად, განვითარებადმა ეკონომიკებმა 2017 წლის გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების მზარდი წილი შეადგინა, მთლიანი 47 პროცენტი შთანთქა, 2016 წელს 36 პროცენტთან შედარებით. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში მზარდ და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკის სტიმულირების თვალსაზრისით, რასაც აქტიურად მიმართავენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკები.

1.3 უცხოური ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ფაქტორი: თეორიული მიდგომები

ეკონომიკურ თეორიებში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც ეკონომიკის ზრდას განაპირობებს რომლის დახმარებით შესაძლებელია შეფასდეს არა მხოლოდ მოცულობის სრული ზრდა საწარმოო კუთხით, არამედ ქვეყნის ეკონომიკის შესაძლებლობა დააკმაყოფილოს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებები, ასევე ხელი შეუწყოს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნული წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ძირითად მიზეზს ქვეყნის განვითარების მთავარ მიზნებს შორის, ეკონომიკის თავისუფლებასთან და მის ეფექტურობასთან ერთად. აქვე

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკური ზრდა განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური ძალის ზრდას რეალური მშპ-ს წარმოებისა და მომსახურების მოცულობის გაზრდით. ეკონომიკურ ზრდაზე მსჯელობისას პირველ რიგში, გვესმის წარმოების რესურსების რაოდენობრივი ზრდა და წარმოებული საქონლის მოცულობა.

"ეკონომიკური ზრდის" კონცეფცია ახლოს არის "ეკონომიკური განვითარების" კონცეფციასთან. ამასთან, ისინი არ ემთხვევა, რაც საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ეკონომიკური ზრდა ეკონომიკური განვითარების კომპონენტია, რაც გაგებულია, როგორც პროცესი, რომელიც მოიცავს როგორც ზრდის პერიოდს, ასევე შემცირებას. ავსტრიელი ეკონომისტის ი. შუმპეტერის აზრით, ეკონომიკური ზრდა ეკონომიკაში რაოდენობრივი ცვლილებაა, ხოლო განვითარება ეკონომიკაში თვისებრივი ცვლილებაა (Й. А. Шумпетер 1982). ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან პერიოდში აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიღებული დადებითი შედეგები აღემატება უარყოფით შედეგებს რეცესიისა და დეპრესიისგან. ეკონომიკური ზრდის ძირითადი მახასიათებლებია ხარისხი, ეფექტურობა და მისი ტემპი. ეკონომიკური ზრდის ხარისხი გაგებულია, როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სოციალური ორიენტაციის გაძლიერება, რაც გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის ფინანსური კეთილდღეობის გაზრდას.

ეკონომიკური ზრდის ხარისხის მთავარ კომპონენტებს შორის უნდა მოვიაზროთ ასევე: სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას და მათ შესაბამის ხარისხს, ასევე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოება, სადაც ნაგულისხმებია სამუშაო პირობები და სოციალური უსაფრთხოება.

ეკონომიკური ზრდის თეორიაში სტაბილური ზრდის ტემპი, რომელიც თუნდაც დაბალი ნიშნულით ხასიათდება წლის განმავლობაში მეტად პრიორიტეტულია, ვიდრე მაღალპროცენტული მაჩვენებლის მქონე და არა პროგნოზირებადი. ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობის გადასაჭრელად - შეზღუდული წარმოების რესურსები და საზოგადოებაში შეუზღუდავი

მოთხოვნილებები ქმნიან მნიშვნელოვან დაბრკოლებებს, რომელთა გადაჭრა ეკონომიკური ზრდის კუთხით და წარმოქმნილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ. აღნიშნული საკითხებისა და პრობლემის მოგვარების ორი გზა შეიძლება გამოვყოთ. პირველ რიგში, წარმოების ძალების გაზრდის დახმარებით, და მეორეც, იმ წარმოების შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენების გზით, რაც უკვე არსებობს. ზოგადად, ამ წინააღმდეგობისა და განვითარების გზის გადაჭრა დიდწილად შეიძლება განისაზღვროს, თუ ცნობილია ეკონომიკური ზრდის ფაქტორების შემადგენლობა და სტრუქტურა.

ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედებიდან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის პირდაპირი და არაპირდაპირი ფაქტორები გამოირჩევა. პირდაპირი ფაქტორები არის, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკური ზრდის ფიზიკურ უნარზე. მათ შორისაა: (А.И. Добрынин, Л.С. Тарасевич 2014)

- კაპიტალის ხარისხის შემადგენლობის გაუმჯობესება და ზრდა;
- შრომითი რესურსების რაოდენობისა და ხარისხის ზრდა;
- ტექნოლოგიისა და წარმოების მენეჯმენტის გაუმჯობესება;
- ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართული ბუნებრივი რესურსების რაოდენობის და ხარისხის ზრდა;
- საზოგადოებრივ გარემოში სამეწარმეო უნარ-ჩვევების ზრდა.

არაპირდაპირი ფაქტორების ჩამონათვალში შეიძლება აღინიშნოს:

- ✓ ბაზრების მონოპოლიზაციის დონის დაქვეითება, საბაზრო ურთიერთობების განვითარება და კონკურენციის გაზრდა;
- ✓ დაბალი ფასები და წარმოების რესურსების გაზრდა;
- ✓ მეწარმეობაზე საგადასახადო ტვირთის შემცირება;
- ✓ სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის განვითარება, აგრეთვე საზოგადოების საგანმანათლებლო ხარისხის ზრდა;

უნდა აღინიშნოს, რომ საპირისპირო მიმართულებით არაპირდაპირი ფაქტორების ცვლილება შეანელებს ეკონომიკურ ზრდას. ეკონომიკურ თეორიაში, ეს კლასიფიკაცია არ არის ერთადერთი, არსებობს ეკონომიკური ზრდის კიდევ

რამდენიმე კლასიფიკაცია. მაგალითად: ვრცელი და ინტენსიური, ორგანიზაციული და მენეჯერული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლურ სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში, არსებობს ეკონომიკური ზრდის ფაქტორების სამი ძირითადი ჯგუფი: მოთხოვნის, მიწოდების და განაწილების ფაქტორები. (Г. П. Журавлева 2016)

სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ფაქტორების სტრუქტურა განსხვავდება ერთმანეთისაგან და შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს მრავალი პირობის გათვალისწინებით, მაგალითად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ციკლის ფაზების ეტაპზე, კონკრეტული ქვეყნის სამეცნიერო, ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით. ზემოხსენებული პირობები ძირითადად განსაზღვრავს ამ ფაქტორების შემადგენლობას და სტრუქტურას, რაც ფუნდამენტურია ქვეყნის განვითარების თითოეულ ეტაპზე მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

განასხვავებენ ზრდის ფართო და ინტენსიურ ტიპებს. სუფთა სახით ეკონომიკური ზრდის არც ფართო და არც ინტენსიური სახეობა არსებობს, რადგან, ყოველთვის კომბინირებულია. ამ შემთხვევაში, საუბარია მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ამა თუ იმ ფაქტორის უპირატესობაზე. ეკონომიკური ზრდის ფართო ტიპი გაგებულია, როგორც წარმოების ზრდა დამატებითი რესურსების გამოყენებით წარმოების პროცესში. მაგალითად: შრომა, კაპიტალი და ბუნებრივი რესურსები. ამ შემთხვევაში, წარმოების ტექნიკური დონე იგივე რჩება. ფართო ტიპით, წარმოების მოცულობა იზრდება მხოლოდ პერსონალის რაოდენობრივი ზრდისა და დამატებითი აღჭურვილობის შეძენის შედეგად, შესაბამისად, შრომის პროდუქტიულობა ამ შემთხვევაში არ იცვლება.

სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის განვითარებამ, ახალი გამოგონებებისა და სამეცნიერო აღმოჩენების დანერგვამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე. ტექნოლოგიური პროგრესი დაერთო წარმოების ტრადიციულ ფაქტორებს. ეკონომიკური ზრდის თეორიები ფართოდ არის წარმოდგენილი ეკონომიკურ ლიტერატურაში, ეს თეორიები

შეგვიძლია განვაზოგადოთ, რაც საბოლოო ჯამში მოგვცემს სამ წამყვან მიმართულებას. პირველი მიმართულებაა ნეო-კინეზიურ კონცეფცია რომელიც მოიცავს რამდენიმე მიმართულებას, დ. ტობინი, (J. Tobin 1982) ს. ფუჯინო, ო. სიმომურა. მეორე მიმართულება წარმოდგენილია ნეოკლასიკური თეორიებით და ემყარება ა. მარშალის (A. Marshall. 1979) და ლ. ვალრას (Л. Вальрас 2000) დებულებებს ბაზრის თვითრეგულირების შესახებ. მესამე მიმართულებას, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინ არის შექმნილი ეწოდა ზრდის ახალი თეორია. ნეო-კინეზიურ თეორიებში ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორს და მის ტემპს წარმოადგენს შიდა ინვესტიციების ზრდა. ინვესტიციების ზრდა ორმაგ სარგებელს უზრუნველყოფს: იგი ხელს უწყობს საწარმოო შესაძლებლობების ზრდას და ასევე ეროვნული შემოსავლის ზრდას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს დასაქმების ზრდას. იმის გამო, რომ ინვესტიციები ეხმარება წარმოების შესაძლებლობების ზრდას, შემოსავლის ზრდა საკმარისი უნდა იყოს საწარმოო შესაძლებლობების გაზრდის საწინააღმდეგოდ, რათა ხელი შეუშალოს უმუშევრობას. ეკონომიკურ თეორიაში ყველაზე ცნობილია ეკონომიკური ზრდის ნეო – კეინზიური მოდელები, რომლებიც წამოაყენეს რ.მ. ჰაროდმა, (Р. Харрод 1939) ე. დომარმა, (Эв. Домар 1946) და ე. ჰანსენმა. (Эл. Хансен 1939) ეს მოდელები ემყარებოდა ორ მთავარ ობიექტს.

- კაპიტალის ინტენსივობა არ არის დამოკიდებული წარმოების ფაქტორების ფასის თანაფარდობაზე, იგი განისაზღვრება მხოლოდ წარმოების ტექნიკური დონის მიხედვით;
- ეროვნული შემოსავლის ზრდა მხოლოდ კაპიტალის დაგროვების ფუნქციაა და გამორიცხულია ყველა სხვა ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს კაპიტალის პროდუქტიულობის ზრდაზე.

ეკონომისტებმა ჩარლზ კობმა და პოლ დუგლასმა შეიმუშავეს ეკონომიკური ზრდის მრავალფუნქციური მოდელი, რომელსაც წარმოების ფუნქცია ან კობ-დუგლას მოდელი ეწოდებოდა. მასშტაბში დაბრუნების მუდმივი მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ თუ კაპიტალის და შრომის მოცულობა გაიზარდა n ჯერ, მაშინ

მთლიანი გამომავალი მოცულობა, ან შემოსავლის მოცულობა, იგივე რაოდენობის მიხედვით გაიზრდება. (Ч. Коббъ, П.Дуглас 1928)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რობერტ სოლოუ იყო პირველი ეკონომისტი, ვინც აჩვენა შეზღუდვები ფართო ზრდის ეკონომიკური ზრდასთან დაკავშირებით. მან დაადგინა, რომ კაპიტალის დაგროვება და შრომის მოზიდვა მშპ-ს ზრდის მხოლოდ 50% -ს შეადგენს. დანარჩენი არის შრომის ნაყოფიერება და ტექნოლოგიური წინსვლა. (Р. Солоу 1956)

შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორი ტექნოლოგიური წინსვლაა, რომელსაც შეუძლია გაამდიდროს და გაზარდოს კაპიტალის და შრომის მოხმარების ეფექტურობა, შემოიფარგლოს მუდმივი ზრდა წარმოებაში დამატებითი ფაქტორების ჩასატარებლად, აგრეთვე, გრძელვადიანი და დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. ამასთან, რ. სოლოუმ ყურადღება არ მიაქცია ეკონომიკური ზრდის სტიმულირების გარე წყაროებს. მან მთავარი ყურადღება დაუთმო ენდოგენურ ფაქტორებს, რომლებიც ახდენენ ეკონომიკის ზრდას შიგნიდან. რ სოლოუმ არ ჩათვალა უცხოური ინვესტიციები, როგორც ტექნოლოგიური პროგრესის ერთ–ერთი შესაძლო წყარო და, შესაბამისად, ეკონომიკური განვითარება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციის პირველ თეორიებს შორის იყო ამერიკელი ეკონომისტი რ. ვერნონიის საქონლის სასიცოცხლო ციკლის თეორია, რომელიც ცდილობდა აეხსნა ის მიზეზები, რის გამოც საწარმოებს თავიანთ პროდუქცია გადააქვთ უცხოეთში. ვერნონის თქმით, კომპანიის გადაწყვეტილებები მიიღება საუკეთესო სტრატეგიის საფუძველზე, სამი ალტერნატიული გზით:(R. Vernon 1966)

- შიდა წარმოება;
- საქონლის ექსპორტი;
- წარმოების საზღვარგარეთ გადატანა.

საწარმოთა გადაწყვეტილებებზე გავლენას ახდენს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი, ასევე ხარჯების დინამიკა. ვერნონმა განვითარების 3 ეტაპი გამოყო წარმოების განვითარების ეტაპებიდან:

- პირველი ეტაპი არის საქონლის წარმოშობის ეტაპი. ამ ეტაპზე წარმოება ბაზრებზე უფრო ახლოს მდებარეობს, ხარჯები მაღალია, არსებობს კონკურენტული უპირატესობა;
- საქონლის "სიმწიფის" ეტაპი, როდესაც საწარმო ზრდის პროდუქციის წარმოებას და იწყებს საქონლის ექსპორტს;
- მასობრივი წარმოების ეტაპი. ამ ეტაპზე, კონკურენცია იზრდება, ხარჯების შემცირების მიზნით, როდესაც კომპანია ახდენს საკუთარი პროდუქციის საზღვარგარეთ გადაადგილებას, სადაც არის შედარებით დაბალი ხარჯები, შემდეგ ხდება პროდუქციის ხელახლა ექსპორტი.

ვერნონმა ვერ შეძლო იმ რეალური მოტივების ჩვენება, რის გამოც კომპანიები ინვესტიციებს იღებენ უცხოურ ინვესტიციებში. მისი აზრით, ინვესტიციის მიზეზი შიდა კონკურენციის თავიდან აცილების სურვილია.

ჩ. კინდელბერგმა, (C.P. Kindleberger 1969) რ. კავესი, (R.E. Caves, 1974) ს. ხაიმერმა მიკროეკონომიკური კონცეფციების გამოყენებით, სცადეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ფენომენის ახსნა მონოპოლისტური და ოლიგოპოლიტიკური თეორიებით. მათი აზრით, უცხოური კომპანიები ახორციელებენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს, რომლებსაც აქვთ უნიკალური ინტელექტუალური აქტივები. ისინი უცხოეთში ინვესტირებენ, რათა მონოპოლისტურად მაღალი მოგება მიიღონ ზოგიერთ სფეროში მათი უპირატესობის რეალიზაციით. (S.H. Hymer 1974).

აზიის რეგიონში გამოირჩევა იაპონიის ეკონომიკური ანალიზის სკოლა, რომლის ძირითადი წარმომადგენლები იყვნენ კ. აკამაცუ, კ. კოჯმა და თ. ოზავა. ”მფრინავი ბატები”-ის მოდელის თანახმად, აკამაცუს სურდა ეჩვენებინა, რომ ნაკლებად განვითარებულ ქვეყანას შეუძლია დააჩქაროს ეკონომიკური ზრდა, თუ იგი შედის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში უფრო განვითარებულ ქვეყნებთან. ემპირიული დაკვირვებების საფუძველზე, აკამაცუმ ააგო თავისი პარადიგმა, რომლის თანახმად, ინდუსტრიის განვითარების სამი თანმიმდევრული ეტაპი არსებობს:

- საჭირო პროდუქციის იმპორტი;

- ადგილობრივი წარმოების შექმნა;
- ეროვნული პროდუქციის ექსპორტი.

აკამაცუმ შემდეგნაირად გამოავლინა შემდეგი ნიმუში: იმპორტი ასტიმულირებს ეროვნულ წარმოებას, რაც, თავის მხრივ, ასტიმულირებს ექსპორტს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციის თეორიებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი საერთაშორისო წარმოების ეკლექტიკური პარადიგმაა, რომელსაც ინგლისელი ეკონომისტი ჯ. დანინგი ასრულებს. (K.A. Akamatsu 1962)

დანინგის პარადიგმის თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ხდება მაშინ, როდესაც ფაქტორების კომპლექსი არსებობს. იგი განსაზღვრავს სამ პირობას, რომლებიც განსაზღვრავს უცხოური კომპანიის გადაწყვეტილებებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შესახებ. (J.H. Dunning 1981)

- უპირატესობები - საკუთრების განსაკუთრებული უპირატესობები: კომპანიის ზომა და მისი ადგილი შიდა და საერთაშორისო ბაზარზე, მენეჯმენტში, უნიკალურ პროდუქტებზე, ტექნოლოგიაში, ნოუ-ჰაუ, სავაჭრო ნიშანი და ბრენდი, მარკეტინგის სისტემა;
- ადგილმდებარეობის სპეციფიკური უპირატესობებით. მიმღები ქვეყნის ადგილმდებარეობის სპეციფიკური უპირატესობები: საინვესტიციო კლიმატი, საწარმოებისა და ბაზრების სივრცული განაწილება, შედარებით იაფი წარმოების ფაქტორები (შრომა, ენერგია, ნედლეული), ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა ლიბერალური საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისების პროგრამები, გრძელვადიანი საბაზრო პოტენციალი და მასშტაბის ეკონომია;
- ინტერნეტის ინტეგრაციის სპეციფიკური უპირატესობები- ინტერნაციონალიზაციის სპეციფიკური უპირატესობები: შესაძლებლობა მოახდინოს კომპანიის შიგნით, საქმიანი ტრანზაქციების ინტერნეტიზაცია, მარკეტინგული კვლევის, მონიტორინგისა და მოლაპარაკების გზით ხარჯების შემცირება, უპირატესობის თავიდან აცილება ან გადაქცევა. სახელმწიფო ბარიერები (კვოტები, საბაჟო

ტარიფები და ა.შ.), მიმწოდებლების კონტროლი, გაყიდვების ბაზარზე კონტროლი.

ამრიგად, ჯ. დაინიგის თანახმად, უცხოური კომპანია მიდრეკილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციისთვის თუ მას აქვს ეს სამი უპირატესობა ერთდროულად. თუ ზემოაღნიშნული უპირატესობები არ არსებობს საკუთარ ქვეყანაში, იძულებულია ინვესტიცია განახორციელოს საზღვარგარეთ, და, პირიქით, გაიტანოს თავისი პროდუქტები, როდესაც მიმღები ქვეყნის საინვესტიციო კლიმატი არ არის ხელსაყრელი. ახალი თეორიის შემუშავებით, გლობალურ ეკონომიკაში მოხდა რეალური პროცესები, რომელთა შორისაა: ლათინური ამერიკისა და აზიის განვითარებადი ქვეყნების დაჩქარებული ზრდა, გლობალიზაცია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებში საერთაშორისო კორპორაციების აქტიური მონაწილეობის სახით. მათ ეს მიაღწიეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით.

გლობალიზაციის გაღრმავება და ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოება იწვევს ეკონომიკური ზრდის გარეგანი ფაქტორების გაძლიერებას. ამ ფაქტორთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უცხოურ ინვესტიციებს. ისინი ხელს უწყობენ ეკონომიკის ეფექტურობის გაუმჯობესებას. თუმცა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არა მხოლოდ საკმარისია ეროვნული ეკონომიკის ზრდის პირობაც არის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდეგი ძირითადი დადებითი შედეგებია:

- საჭირო საქონლისა და მომსახურების წარმოების ზრდა;
- დამატებული ღირებულების ფორმირება;
- საგადასახადო ბაზის ზრდა;
- დასაქმებისა და მოწინავე ტრენინგის გაწევა;
- დაბალი არასტაბილურობის, გრძელვადიანი კაპიტალის შემოდინება;
- ეკონომიკურ მენეჯმენტში უცხოური გამოცდილების წარმოებისა და გამოყენების განახლება და მოდერნიზაცია.

ყველა ეს ეფექტი ადვილად გაზომვადია, მათ პირდაპირი გავლენა აქვთ მიმღები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ინდიკატორებზე. ასეთ მაჩვენებლებს

შორის შეიძლება აღინიშნოს: მშპ ზრდის ტემპი, მოსახლეობის დასაქმების ზრდა, ინვესტიციური კომპანიებისგან საგადასახადო შეგროვების ზრდა და ა.შ. ამასთან, არსებობს არაპირდაპირი ეფექტებიც, რომლებიც გრძელვადიან და სერიოზულ გავლენას ახდენს მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. მთავარ არაპირდაპირ ეფექტებს შორის შეიძლება განვასხვავოთ შემდეგი ჯგუფები:

- უცხოური მენეჯერული მენეჯმენტის, მარკეტინგის ცოდნისა და გამოცდილების, ასევე ტექნოლოგიისა და ნოუ-ჰაუს გამოყენება;
- უცხოეთის ბაზრებზე წვდომის მოპოვება, ადგილობრივი კონკურენციის სტიმულირება და ადგილობრივი მწარმოებლების პროდუქციის ექსპორტი;
- ადგილობრივი კომპანიების აქტიური საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება;
- მიმღები ქვეყნების პოზიტიური იმიჯის შექმნა და ინვესტიციის მიმზიდველობა.

დადებითი ეფექტების გარდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას შეიძლება თან ახლდეს ნეგატიური შედეგები, რამაც შეიძლება პირდაპირი გავლენა არ მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება შეიქმნას სერიოზული პირობები მისი განვითარების შენელებისთვის, ინვესტიციების პოტენციური სარგებელის შემცირებით, ისევე როგორც ქვეყნის დამოკიდებულების გაზრდა საერთაშორისო კორპორაციებზე. ეს დამოკიდებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთავარ სუბიექტებს შორის ურთიერთობის ბუნებაზე: ნებისმიერი მხარე ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს თანამშრომლობის სარგებელი. თუმცა, ეს სარგებელი, ჩვეულებრივ, საზიანოა მეორე მხარისთვის, რაც ურთიერთობის დროს კონფლიქტს იწვევს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების პროცესში, ინტერესთა კონფლიქტის ძირითადი სფეროებია:

- საერთაშორისო კორპორაციის მიერ მიღებული მოგების განაწილება მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე;

- საერთაშორისო კორპორაციის რესურსებისა და აქტივების განთავსება და განაწილება ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ;
- უცხოური პირდაპირი ინვესტიციის შემოდინების ფორმები და მიმართულებები;
- ინტელექტუალური შრომის პროდუქტებზე საკუთრების უფლებები, რომლებიც შეიქმნა მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე;
- გავლენა მიმღებ ქვეყანაში სამეწარმეო და სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობის დონეზე.

შეჯამების სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკური ზრდის სამ თეორიაში: ნეო-კეინზიური, ნეოკლასიკური და ახალი თეორია, მხოლოდ ბოლო პირდაპირ უცხოურ ინვესტიციაში განიხილება, როგორც ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. პირველი ორი თეორია უფრო მეტ ყურადღებას აქცევს შიდა ინვესტიციებს. ეკონომიკური ზრდის თეორიებში, შეიმჩნევა ინვესტიციების გარდაქმნა საშინაოდან უცხოურში, როგორც ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად. ეჭვგარეშეა ინვესტიციის საჭიროება ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. განვითარებული ან გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის საჭიროა გარე წყაროები - უცხოური ინვესტიციები და, განსაკუთრებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

თავი 2. საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოდინების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში

2.1. ქვეყანაში შემოდინებული ინვესტიციები ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით

გლობალიზაციის პირობებში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს სხვადასხვა ქვეყანა საიდანაც ხორციელდება ინვესტიცია ასევე ამ პარაგრაფში განხილულ იქნება საქართველოში

განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით, რაც მთლიანობაში ნათელ სურათს შექმნის იმისა, თუ რა მასშტაბის ინვესტიციები შემოედინება ქვეყანაში, რაც თავისთავად მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკურ ზრდას და ახდენს სხვადასხვა დარგების სტიმულირებას.

არასტაბილური გეოპოლიტიკური მდგომარეობის და შექმნილი კონფლიქტების გამო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქართულ ეკონომიკაში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული შედარებით ნელი ტემპებით მიმდინარეობს. მაგრამ ამის მიუხედავად შეგვიძლია გამოვარჩიოთ, როგორც მსოფლიოს უმსხვილესი სახელმწიფოები ისე მეზობელი და რეგიონის დონეზე მსხვილი მოთამაშეები, რომელთა მიერ განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქართულ ეკონომიკაში.

ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების მხრივ ქვეყნები სამ ჯგუფად ჯგუფდებიან:

- ევროკავშირის ქვეყნები;
- დსთ-ის ქვეყნები;
- დანარჩენი ქვეყნები.

ინვესტიციების შემოდინების მიზნით განხორციელებულ იქნა ცვლილებები საგადასახადო სისტემაში, გამოყოფილ იქნა შესაბამისი ადგილები, სადაც ინვესტორებს დამატებით თავისუფლად მოქმედების საშუალებას სძენდა, აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა ქვეყნის ეკონომიკაში.

მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, როგორც შემოსული ინვესტიციების ნაკადები ქვეყნის შიგნით ასევე გადინებაც, საქართველო ნეტო იმპორტიორ ქვეყანას წარმოადგენს ამ ეტაპისთვის, მაგრამ ამის მიუხედავად ქართული კომპანიები უცხოურ ბაზრებზე წარმოჩინებას და დამკვიდრებას ცდილობენ. ყოველწლიურად ქართული კომპანიების მიერ საზღვარგარეთიდან რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ექსპორტში გამოისახება. ამ სტატისტიკის მიხედვით, საქართველოდან უცხოეთში ჯამური მონაცემებით 2.3 მილიარდი აშშ

დოლარზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ექსპორტირდა. ინვესტიციების გადინების მხრივ აღსანიშნავია ასევე პოსტკომუნისტური ქვეყნები, საიდანაც შედარებით მცირე მოცულობის ნაკადები გაედინება, რაც განსაზღვრავს ეკონომიკის ზოგად განვითარების მაჩვენებელს. გადინებული ინვესტიციების ყველაზე მზარდი და მაღალი მაჩვენებელი შეინიშნება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, აქ კი აზერბაიჯანი ლიდერობს. საქართველოდან ყველაზე მაშტაბური გადინება ინვესტიციების 2014-2016 წლებში განხორციელდა. აღნიშნული განპირობებული იყო მრავალი ფაქტორით, როგორც საკმარისი ფინანსური სტაბილურობის მიღწევის შედეგად ახალი ბაზრების მოძიების აუცილებლობით, ისე საკუთარი ფინანსების მეტად უსაფრთხო და მეტად მომგებიან ადგილებში დაბანდების მიზნით. (დ. სიხარულიძე, ვ. ჭარაია 2018)

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიცია პირველად 1996 წელს დსთ ქვეყნებიდან განხორციელდა, უკრაინის მიერ რომლის მთლიანი მოცულობა 3753.45 ათასი აშშ დოლარს შეადგენდა. ეტაპობრივად მოხდა სხვა ქვეყნების ინვესტიციების შემოდინება შემდგომ წლებში. 1997 წელს პირდაპირი ინვესტიციების განმხორციელებელი ქვეყნების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და მათგან განხორციელებული ფულადი ინვესტიციებიც. ამ მხრივ აღსანიშნავია ევროკავშირის ქვეყნების ჩართვა, ავსტრია-18 688.2 ათასი აშშ დოლარი, გერმანია 2 081.5 ათასი აშშ დოლარი, ირლანდია 38.7 ათასი აშშ დოლარი, გაერთიანებული სამეფო 26471,6 ათასი. აშშ დოლარი. ჯამში ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციამ 45 793.9 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. რაც თითქმის ორჯერ აღემატებოდა დსთ-ის ქვეყნებიდან განხორციელებულ პირდაპირ ინვესტიციებს, აზერბაიჯანი 12 888.4 ათასი აშშ დოლარი, რუსეთი 14 435.0 ათასი აშშ დოლარი, უკრაინა 403.1 ათასი აშშ დოლარი. ჯამში დსთ-ის ქვეყნებიდან განხორციელებული ინვესტიცია 27 726.6 ათასი აშშ დოლარი.

მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ასევე დანარჩენი ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რომლის მოცულობა აღნიშნულ წელს შეადგენდა 169 065.5 ათასი აშშ დოლარი. აშშ-ის წილი შეადგენდა

ყველაზე მაღალ მაჩვენებელს 96 651.9 ათასი აშშ დოლარი. აღნიშნული პირდაპირი ინვესტიციები უმეტეს წილად წარმოადგენდა მთავრობის დახმარებას სესხის ან სხვა რაიმე სახით. (საქსტატი 2019)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

დიაგრამა 2.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი ჯამური მოცულობა წლების განმავლობაში (ათასი აშშ დოლარი)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადთა შემოდინება მნიშვნელოვნად გაიზარდა 2006 წლიდან 1 171 179.5 ათასი აშშ დოლარი. ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეადგინა 468 312,8 ათასი აშშ დოლარი, დსთ-ის ქვეყნებიდან 265 672.1 ათასი აშშ დოლარი. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს თურქეთი რომლის წილი შეადგენს განხორციელებული ინვესტიციების მხრივ 126 790.3 ათასი აშშ დოლარს, ჩინეთი 5 445.3 ათასი აშშ დოლარი, ამერიკის შეერთებული შტატები-100 833.3 ათასი აშშ დოლარი.

აღნიშნული ტენდენცია მოწმობს, რომ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა წინა წლებთან შედარებით ბევრად მეტია, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეკონომიკის სტიმულირების კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2008 დან 2013 წლის ჩათვლით სქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2006-2007 წლის მონაცემთან შედარებით დაბალი იყო, რაც განპირობებულია, ქვეყანაში მომხდარი 2008 წლის რუსეთ საქართველოს შორის მომხდარი ომისა და მსოფლიო

ეკონომიკური კრიზისის შედეგად, ასევე აღნიშნულ ფაქტორს შეგვიძლია დავუმატოთ, 2012 წელს მომხდარი სახელისუფლო ცვლილება და ერთ წლიანი პოლიტიკური გაურკვევლობის პერიოდი, რამაც ასახვა პოვა ეკონომიკაზე და ინვესტიციების შემოდინების მოცულობაზე. 2014 წლიდან 2017 წლის ჩათვლით მკვეთრად გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში, 2014 წელს მან შეადგინა 1 836 980.0 ათასი აშშ დოლარი ხოლო 2017 წლის მონაცემების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინებული მოცულობა შეადგენდა 1 962 613.5 ათასი აშშ დოლარს. 2017 წლის მონაცემით ყველაზე მსხვილ ინვესტორ ქვეყნებს განეკუთვნებიან: აზერბაიჯანი 461 976.8 ათასი აშშ დოლარი, თურქეთი 256 119.1 ათასი აშშ დოლარი, გაერთიანებული სამეფო 247 480,2 აშშ დოლარი, ნიდერლანდები 354 524,2 აშშ დოლარი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები 145 143,6 აშშ დოლარი, ამერიკის შეერთებული შტატები-79 308.2 ათასი აშშ დოლარი, შვეიცარია 35 210.4 ათასი აშშ დოლარი, რუსეთი 51 316.2 ათასი აშშ დოლარი, პანამა 23 842.4 ათასი აშშ დოლარი, კორეა 36 238.8 ათასი აშშ დოლარი, იაპონია 18 364.4 ათასი აშშ დოლარი, ჩინეთი 19 364.4 ათასი აშშ დოლარი. აღნიშნული ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელდა ყველაზე მსხვილი ინვესტიციები, რამაც სერიოზული წვლილი შეიტანა ეკონომიკისა და ბიზნეს სექტორის სტიმულირებაში.

უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებად 2019 წლის მონაცემებით (მლნ აშშ დოლარი) განისაზღვრა გაერთიანებული სამეფო 247 783.7 ათასი აშშ დოლარი, თურქეთი 236 524.6 ათასი აშშ დოლარი, ირლანდია 132 728.7 ათასი აშშ (მლნ)დოლარი, აშშ 99 017.1 ათასი აშშ დოლარი, პანამა 78 124.8 ათასი აშშ დოლარი, ნიდერლანდები 52 898.2 ათასი აშშ დოლარი, რუსეთი 50 541.9 ათასი აშშ დოლარი, ჩინეთი 40 411.7 ათასი აშშ დოლარი, იაპონია 39 205.3 ათასი აშშ დოლარი. (იხ. დიაგრამა 2.2) (საქსტატი 2019)



წყარო: **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.** https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

დიაგრამა 2.2. უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები 2019 წლის წინასწარი მონაცემებით, მილიონი აშშ დოლარი

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება, როგორც უკვე აღვნიშნეთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქართული ეკონომიკის სტიმულირებისთვის, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. აქვე მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს თუ როგორ ნაწილდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს რეგიონების მიხედვით, რადგან აღნიშნული ფაქტორი კავშირში იმყოფება ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან, როგორიც არის რეგიონების განვითარება და დეცენტრალიზაცია. სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფენ, თუ რა მოცულობის ინვესტიციების შემოდინება განხორციელდა 2012 წლიდან 2019 წლის ჩათვლით საქართველოს რეგიონების მიხედვით. (იხ. დიაგრამა 2.3)



წყარო: **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.** https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

დიაგრამა 2.3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით 2012 წლიდან 2019 წლის ჩათვლით

აღნიშნული დიაგრამა ცხადყოფს, რომ ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი მოდის საქართველოს დედაქალაქ თბილისზე. ქვეყანაში შემოდინებული ინვესტიციების არაპროპორციული გადანაწილება, რეგიონების მიხედვით ნეგატიური გავლენის მომხდენია რეგიონების თანაბარი განვითრების და გრძელვადიან პერსპექტივაში მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მიღებისთვის. 2012 წლის მონაცემებით თბილისში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციამ 772 677.5 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, აღნიშნული მაჩვენებელი შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა, მაგალითად 2017 წელს 1 514 709.8 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც თითქმის გაორმაგებული მოცულობაა 2012 წელთან შედარებით. აქვე თუ მოვახდენთ მთლიან მოცულობასთან შედარებას, რაც მთლი ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხრივ, აღნიშნულ წლებში, ჩვენ დავინახავთ, რომ თითქმის 80 % პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდის თბილისზე, ხოლო ზოგიერთი რეგიონი სრულებით

თავისუფალია ინვესტიციებისგან. თბილისის შემდეგ აღსანიშნავია აჭარის რეგიონი, მაგრამ მთლიანი მოცულობით ბევრად ჩამორჩება თბილისის მაჩვენებელს. 2012 წელს აჭარაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 72 215.6 ათასი აშშ დოლარი ხოლო 2017 წელს 209 642.1 ათასი აშშ დოლარი. ძირითადი საინვესტიციო პორტფელები აჭარის რეგიონში განხორციელდა სამშენებლო და ტურისტულ ბიზნესებში, მაგრამ თავისი მოცულობით უნდა აღინიშნოს, არასაკმარისია რეგიონის სრულფასოვანი განვითარებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს სამეგრელო ზემო სვანეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, შიდა ქართლი და მცხეთა მთიანეთი, სადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიცია არ განხორციელებულა 2016 წლამდე. ეს მაჩვენებელი ნათელს ხდის იმ არათანაბარ შემოდინებას და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხრივ, რაც წლების განმავლობაში ხორციელდებოდა საქართველოში.

2019 წლის მონაცემების მიხედვით პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის მხრივ ყველაზე მსხვილი რეგიონებში მოიაზრება, თბილისი 820 168.9 ათასი აშშ დოლარი, აჭარა 207 031.2 ათასი აშშ დოლარი, სამცხე-ჯავახეთი 62 942.6 ათასი აშშ დოლარი, ქვემო ქართლი 64 656.9 ათასი აშშ დოლარი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია 77 060.3 ათასი აშშ დოლარი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 18 085.4 ათასი აშშ დოლარი (იხ. დიაგრამა.2.4).

ძირითადი საინვესტიციო ნაკადები, როგორც ციფრებიდან ჩანს თბილისზე მოდის, მაგრამ ასევე თუ გავითვალისწინებთ დედაქალაქში დასახლებული ადამიანების რაოდენობას მივხვდებით, რომ განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების საერთო მოცულობა თბილისის შემთხვევაში ისეთივე შეზღუდულია, როგორც ეს გვაქვს დანარჩენ რეგიონებში მათი მოთხოვნებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე.



წყარო: **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.** https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

დიაგრამა 2.4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს რეგიონების მიხედვით 2019 წლის მონაცემებით, ათასი აშშ დოლარი

აღნიშნული მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები და მათი გადანაწილება რეგიონების მიხედვით არაპროპორციულია, ასევე საკმაოდ დაბალია მთელ რიგ რეგიონებში შემოსული ინვესტიციების მოცულობა ან სრულებით არ ფიქსირდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მთელი რიგი ეკონომიკის დარგები არ არის განვითარებული და ქვეყანა უცხოური ინვესტორებისთვის არამიმზიდველ ქვეყნად რჩება, რაც მთლიანობაში ნეგატიურად ისახება მოსახლეობის დასაქმებასა და შემოსავლებზე.

2.2. ქვეყანაში შემოდინებული ინვესტიციები დარგებისა და ეკონომიკის სექტორების მიხედვით

მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, რომლის შესახებაც ინფორმაცია შესაძლებელია ინახოს 2007 წლიდან 2019 წლის ჩათვლით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში მოცემულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებიც განხორციელდა 2007 წლიდან 2019 წლის ჩათვლით.

ჯამური მაჩვენებლების მიხედვით განხორციელებული ინვესტიციების ყველაზე დიდი მოცულობა წარმოდგენილია კავშირგამბულობასა და ტრანსპორტში ხოლო ყველაზე მცირე საინვესტიციო ნაკადები აღინიშნება სოფლის მეურნეობაში, ასევე ჯანმრთელობის დაცვის სექტორში. (იხ. დიაგრამა 2.5)



წყარო: **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.** https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

დიაგრამა 2.5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამური მოცულობა სექტორების მიხედვით (2007-2019; ათასი აშშ დოლარი)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი ჯამური მოცულობა ეკონომიკის სექტორების მიხედვით დაფიქსირდა 2014-2017 წლებში, რამაც ასახვა პოვა ეკონომიკურ ზრდაზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებულია 2018-2019 წლებში.

მნიშვნელოვანია ცალკე მოხდეს 2019 წლის უმსხვილესი ეკონომიკური სექტორების გამოყოფა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით.



წყარო: **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.** https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

დიაგრამა 2.6. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმსხვილესი ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2019 წელი.

აღნიშნულ მონაცემთა მიხედვით 2019 წელს ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა საფინანსო სექტორში 21%, რომელიც შეადგენს 261 753.5 ათასი აშშ დოლარს. დანარჩენი სექტორების წილი 20%, 253 137.4 ათასი აშშ დოლარი, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთად აღებულ მრავალ მიმართულებაზე, რომელთა დანაწევრების შემთხვევაში წილი საკმაოდ მცირედი შეიძლება იყოს, თითოეულ მათგანზე, სასტუმრო და რესტორნები 15%, 157 501.5 ათასი აშშ დოლარი, ენერგეტიკა 193 916.2 ათასი აშშ დოლარი.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით შედარებით მკვეთრი კლების მაჩვენებელი საფინანსო სექტორშია, სადაც 11.9%-ით შემცირებულია ინვესტიციების მოცულობა. ტრანსპორტის სექტორში, 11.9%-იანი კლება დაფიქსირდა, ხოლო დამამუშავებელი მრეწველობის სექტორმა 6.1%-იანი კლება განიცადა, ხოლო 4.4% კლება შეეხო სამთომომპოვებელ სექტორს.

ცხრილი 2.1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018-2019 წლებში (%).

	I კვ. 2018	I კვ.2019	ცვლილება
სამთო მომპოვებელი მრეწველობა	7.4%	3.0%	-4.4%
დამამუშავებელი მრეწველობა	13.6%	7.5%	-6.1%
სხვა კომუნალური პერსონალური და სოც.მომსახურეობა	20.0%	-7.0%	-27.0%
სასტუმრო და რესტორნები	8.5%	9.0%	0.6%
ტრანსპორტი	22.1%	10.2%	-11.9%
კავშირგამბულობა	21.9%	3.6%	25.5%
საფინანსო სექტორი	37.0%	15.2%	-21.8%
დანარჩენი სექტორები	13.2%	58.5%	45.3%

წყარო: **სტატისტიკის ეროვნული სამსახური.**

აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა და ნაკადები მთელ რიგ სექტორებზე საკმაოდ მცირე ოდენობის არის, ზოგ შემთხვევაში არათუ მატება, არამედ კლება ფიქსირდება, რაც სერიოზულ დარტყმას აყენებს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს და შესაბამისი სექტორების სრულფასოვან და კონკურენტუნარიან განვითარებას, რაც მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელ ფაქტორს წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის რეალური ზრდა 5.2% იყო, რაც წინა წელთან შედარებით 0.4% გაუმჯობესდა.

2.3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და გავლენა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკაზე და მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რაც ჯეროვან ყურადღებას იქცევს ეკონომიკური დარგის ექსპერტების. ახალ თეორიებში, რომლებიც აღწერენ ეკონომიკური ზრდას უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენით, მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, რომლის წვლილი წარმოდგენილია

ისეთი სახის აქტივების შემოსვლით, როგორიცაა მმართველობითი უნარები, ნოუ-ჰაუ, თანამედროვე ტექნოლოგიები და სხვა. (E.J.W. Borensztein 1998)

საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ეს პირველ რიგში ასახვას პოვებს ეკონომიკურ ზრდაზე და მთელი რიგი სექტორების განვითარებაზე. საქართველოსთვის 4 მილიარდი ინვესტიცია თავისი მთლიანი მოცულობით ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე ბევრია, მაგრამ იგივე თანხის ოდენობა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის უაღრესად მცირე ოდენობაა, აქედან გამომდინარე ინვესტიციების ოდენობა ეკონომიკის (მშპ) მიმართ უნდა ინახოს.

ინვესტიციების მოზიდვის კუთხით ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე ცუდი მაჩვენებელი 2012-2013 წლებში დაფიქსირდა. აღნიშნულ წლებში ინვესტიციებმა მხოლოდ მშპ-ის 5.8% შეადგინა. 2014 წლიდან კი ინვესტიციები ზრდის ტენდენციით გამოირჩევა, 2016 წელს კი 11.4%-ს მიაღწია. უფრო კონკრეტულად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა ასე გამოიყურება: (საქსტატი 2019)

- 2014 წელი - $1 837 მლნ
- 2015 წელი - $1 729.1 მლნ
- 2016 წელი - $1 650.3 მლნ
- 2017 წელი - $1 962.6 მლნ
- 2018 წელი - $1 265.2 მლნ
- 2019 წელი - $1 267.7 მლნ

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა რა თქმა უნდა დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. ეკონომიკის ზრდის ნეოკლასიკური მოდელის შესაბამისად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კაპიტალის აკუმულაციას ზრდის, თუმცა 1 მცხოვრებზე გაანგარიშებისას ჩანს რომ კაპიტალის დაგროვება მხოლოდ დროებითი ეფექტის მატარებელია და გადამწყვეტ როლს ტექნოლოგიური პროგრესი ასრულებს. (OECD 2008)

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს რა თქმა უნდა აქვს გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. გავლენის ხასიათი - დადებითი ან უარყოფითი ეფექტი დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის მახასიათებლებზე. ასევე მიმღები ქვეყნის მმართველობით უნარებზე და ტექნოლოგიურ განვითარებაზე. (V. S. Balasubramanyam 1996)

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე გამოდევნის ეფექტით ხასიათდება. ხოლო უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენის ანალიზი მწკრივის საფუძველს ეყრდნობა. მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყანაში დაიწყო საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა, რაშიც დიდი დადებითი როლი შეასრულა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადებმა. (D. Sikharulidze 2015).

თავი 3. ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობა და პრობლემები, მათი დაძლევის გზები და მათი შემოდინების გაუმჯობესების გზები გლობალიზაციის პირობებში

3.1. ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემები, მათი დაძლევის გზები

მსოფლიო გლობალიზაციის ხანაში ქვეყნების ეკონომიკები მჭიდროდ ურთიერთ დაკავშირებულნი არიან, რაც ერთიან გლობალურ სისტემას ქმნის. ეკონომიკაში ინვესტიციები ორგვარი ფორმით ხორციელდება, პირველი ეს არის, როდესაც ხდება ქვეყნის შიგნით არსებული დანაზოგების აკუმულირება და მათი წარმართვა ამათუ იმ შიდა სექტორზე, ხოლო მეორეს მხრივ, სხვა ქვეყნებში დაგროვილი დანაზოგების, შემოდინება ხორციელდება. ნაშრომის პირველ ორ თავში, სათანადოდ იქნა განხილული ინვესტიციების შემოდინების ტენდენციები და მათი მასშტაბი წლების მიხედვით. აღნიშნულ თავში საგულისხმოა შევეხოთ, იმ პრობლემებს, რომელთა მეშვეობითაც ფერხდება უცხოური ინვესტიციების შემოდინება, ამ მხრივ მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რა ფაქტორები განაპირობებენ არსებულ დაბრკოლებებს რა მეთოდოლოგიით არის მათი დაძლევა შესაძლებელი და რა ღონისძიებებს მიმართავს საქართველო. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დამაბრკოლებელ ფაქტორებად შეიძლება მოვიაზროთ რამდენიმე გარემოება, ესენია:

- საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია;
- არასტაბილური პოლიტიკური გარემო;
- გაუმართავი ინფრასტრუქტურა;
- სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციების სახელმწიფოს მხარდაჭერის შესახებ საკანონმდებლო ბაზა;

ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაცია, მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს უცხოური ინვესტორებისთვის ინვესტიციების განხორციელებისათვის, რადგან აღნიშნული ქმნის არასტაბილურობის განცდას უცხოელი ინვესტორებისთვის, რაც ერთგვარ დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს. მაგრამ აღნიშნულ გარემოებას ემატება ასევე ქვეყნის შიგნით

არასტაბილური პოლიტიკური ატმოსფერო, რაც ასევე ამძაფრებს არასტაბილურობის ელემენტებს. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები, რომლებიც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ ლიდერობენ, აღნიშნულ ქვეყნებში სხვა ფაქტორებთან ერთად შეინიშნება სტაბილური პოლიტიკური გარემო და არცერთი მათგანი არ განიცდის რეპრესიულ პოლიტიკას მეზობელი სახელმწიფოსგან.

პოლიტიკურ არასტაბილურობას და ტერიტორიულ პრობლემებს, ქართულ რეალობაში ასევე ემატება ხარვეზები სასამართლო სისტემაში, რაც მიკერძოებისა და დაუცველობის განცდას ტოვებს მოქალაქეში ხოლო უცხოელი ინვესტორისთვის დამატებითი ფაქტორია ინვესტიციების განხორციელებისგან თავის შეკავებისათვის. აღნიშნულ ჩამონათვალს ემატება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც აბრკოლებს უცხოურ ინვესტიციებს, ეს არის გაუმართავი ან ზოგ შემთხვევაში არ არსებული ინფრასტრუქტურა. ინფრასტრუქტურული პრობლემები განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს რეგიონებში, სადაც თითქმის შეუძლებელია მოზიდულ იქნეს მსხვილი ინვესტიცია, აღნიშნულს ადასტურებს ქვეყანაში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება რეგიონების მიხედვით, სადაც თბილისზე მოდის 80% ინვესტიციების, ხოლო დანარჩენი რეგიონებზე ნაწილდება. აღნიშნული კი ცალსახად მიუთითებს გაუმართავ ინფრასტრუქტურაზე, რაც ნაკლებ მიმზიდველია უცხოელი ინვესტორისთვის. ინფრასტრუქტურის აღდგენა მოწესრიგების მიზნით, აქტიურად მუშაობს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მაგრამ მოცემული ბიუჯეტი არსებითად ჩამორჩება ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს, ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას, ახორციელებს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო, აღნიშნული სააგენტო წარმოადგენს სახელმწიფოს ინვესტორებთან ურთიერთობისას.

აღსანიშნავია „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მიზანიც ინვესტორთათვის

გარანტიების შეთავაზებაა, ასევე საქონლის, კაპიტალის, მომსახურების და ადამიანების გადაადგილების ხელშეწყობა. საქართველო აღნიშნული ხელშეკრულების ხელმომწერია, სწორედ ამიტომ ინვესტორებს აქვთ გარკვეული სახის გარანტიები.

„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონიც გარანტიებს აძლევს უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებს. კანონის მთავარი მიზანია ინვესტორებისათვის ხელშემწყობი სამართლებრივი რეჟიმის შექმნა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკმა საქართველო ერთ-ერთ ყველა გახსნილ ქვეყანად აღიარა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის და აღნიშნა, რომ ინვესტორების მიმართ არანაირი შეზღუდვები არ არსებობს.

მიუხედავად აღნიშნული შეფასებისა, ვთვლი, რომ საქართველოს ხელისუფლებას კვლავაც ბევრი აქვს სამუშაო, რადგან ჯერ კიდევ ბევრი პრობლემებია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. საქართველოში კვლავაც ჭირს ბიზნესის წამოწყება. საქართველოში ინვესტორების მოსაზიდად მხოლოდ ბიუროკრატიული პროცესების გაიოლება არ კმარა, აუცილებელია სპეციალურად ინვესტორებისათვის დაბალი საპროცენტო განაკვეთების არსებობა, ასევე ბაზარზე ადგილის დამკვიდრებისათვის ხელშემწყობი პირობის შექმნა. ევროკავშირთან ასოცირების ფარგლებში საქართველო ცდილობს ინვესტორებისათვის უფრო მიმზიდველი გახდეს. თუმცა, ჩემი აზრით უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშესაწყობად და პრობლემების დასაძლევად აუცილებელია:

- გადასახადების შემცირება ან გაერთიანება.
- მოგების გადასახადის შემცირება.
- დღგ-ს შემცირება და სხვა.

ამ დროისათვის საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა სამ ძირითად პრინციპს ემყარება, ესენია:

- წარმოების განვითარება, კონკრეტულად კი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, სამუშაო ადგილების შექმნა და აქედან გამომდინარე

სიღარიბის დაძლევა. - წარმოების სექტორის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებაა:

- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება,
- ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება,
- ინოვაციები და თანამედროვე ტექნოლოგიები,
- ინფრასტრუქტურის განვითარება და ა.შ

➢ ინკლუზიური ეკონომიკის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას და გააუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების პირობებს. - რაც შეეხება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტებს, შეგვიძლია შემდეგი პრიორიტეტები განვიხილოთ:

- სამუშაო ძალის განვითარება, ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.
- ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა,
- სოციალური სისტემის სრულყოფა.

ბუნებრივი რესურსების მიზანმიმართული გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილება. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პრიორიტეტებია:

➢ საინვესტიციო რესურსების დროული მობილიზება, ხელშეწყობა.

ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემების დაძლევის გზად განვიხილავ ჯანსაღი კონკურენციის არსებობას ქვეყანაში. საერთაშორისო ვაჭრობაში და ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელია ქვეყანამ უზრუნველყოს გახსნილობა, ღიაობა.

ამრიგად, პრობლემების დაძლევის გზად აუცილებელია ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის დასტაბილურება, საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებთან მიზანმიმართული ინტეგრაცია და რა თქმა უნდა ქვეყნის ფინანსური რისკების შემცირება. ამასთანავე აუცილებელია კერძო სექტორის წახალისება და ზოგადად სამართლიანი და დაცული ბიზნეს გარემოს შექმნა.

3.2. კვლევა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ქართული ეკონომიკის განვითარებაში

უცხოური ინვესტიციები მსოფლიოში ჩვეულებრივი გზაა ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის დაფინანსების წყაროების გაფართოების და სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. ეკონომიკური განვითარების კუთხით უცხოური პირდაპირი ინვესტიციები მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენენ, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განვითარებად ქვეყნებში, სადაც უცხოურ ინვესტიციებს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და განვითარების, ასევე სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკის მთელი რიგი სექტორების განვითარების მიმართულებით.

თანამედროვე მსოფლიოში, გლობალური პანდემიის გამო მიმდინარე ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის პირობებში, დიდი მნიშვნელობა ქართულ ეკონომიკაში რეცესიის შესაჩერებლად ენიჭება უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. საქართველოს ხელისუფლების აქტიური საქმიანობის წყალობით, მსოფლიოში მიმდინარე რთული პროცესების მიუხედავად, წლის ბოლომდე საქართველოს ეკონომიკაში, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, მოზიდულ იქნება 1,5 მილიარდი დოლარი უცხოური ინვესტიცია. ასევე, დონორი ორგანიზაციები მზად არიან ქართულ კერძო ბიზნეს, საჭიროების შემთხვევაში 1,5 მილიარდი დოლარით დაეხმარონ. ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინებას, განსაკუთრებთ შექმნილ რთულ პირობებში, ქვეყნისა და ქართული ბიზნესისათვის აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა. (მ. ვარადაშვილი 2020)

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის ინვესტიციების როლის და მნიშვნელობის, ასევე საინვესტიციო გარემოს შესწავლისათვის ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა. იგი მდგომარებდა რესპოდენტების გამოკითხვაში. მათი შერჩევა განხორციელდა სტრატიფიცირებული შერჩევის მეთოდით, თვით გამოკითხვა კი მასობრივი გამოკითხვის მეთოდით (რაოდენობრივი კვლევის მეთოდით). კვლევაში მონაწილეობა მიიღო 160-მა რესპოდენტმა. მათგან 45 იყო კაცი, ხოლო 115ქალი. კითხვარი მოცემულია დანართში (იხ. დანართი 1).

კვლევაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის რესპოდენტებმა, მათ შორის 18-24 წლამდე რესპოდენტებმა შეადგინეს 52% (84 პირი), 25-39 წლამდე 29% (46 პირი), 40-64-წლამდე 18% (28პირი), ხოლო 65 წელს ზევით 1% (2 პირი) (იხ. დანართი 2).

გამოკითხვაში მონაწილე რესპოდენტების 66% იყო ქალი 105 პირი), ხოლო 34% კი მამაკაცი (55 პირი) (იხ. დანართი 3).

გამოკითხვაში მონაწილე პირთა განათლების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება: 91% უმაღლესი განათლება (145 პირი) 9% საშუალო (15 პირი) (იხ. დანართი 4).

კითხვაზე: თქვენი აზრით, საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია თუ არა უცხოური ინვესტიციების შემოდინების გაზრდა? გამოკითხულ რესპოდენტთა 91%-მა (145 პირი) განაცხადა, რომ საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია უცხოური ინვესტიციების შემოდინება, 6%-ი (10 პირი) ფიქრობს, რომ არ არის უცილებელი და საქართველო შიდა რესურსებით შესძლებს ეკონომიკურ განვითარებას, ხოლო 3%-ს (5 პირი) არ აქვს პასუხი (იხ. დიაგრამა 3.1).



დიაგრამა 3.1. თქვენი აზრით, საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია თუ არა უცხოური ინვესტიციების შემოდინების გაზრდა?

კითხვაზე ბოლო წლებში გაუმჯობესდა თუ არა საინვესტიციო კლიმატი საქართველოში? გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობამ 72% (115 პირი) უპასუხა, რომ ქვეყანაში გაუმჯობესებულია საინვესტიციო კლიმატი, 25%-ის (40

პირი) აზრით იგი არ არის გაუმჯობესებული, ხოლო 3%-ს (5 პირი) პასუხი არ გააჩნია (იხ. დანართი 3.2).



დიაგრამა 3.2. ბოლო წლებში გაუმჯობესდა თუ არა საინვესტიციო კლიმატი საქართველოში?



დიაგრამა 3.3. ძირითადად რა უშლის უცხოური ინვესტიციების შემოდინებას საქართველოში?

კითხვაზე ძირითადად რა უშლის უცხოური ინვესტიციების შემოდინებას საქართველოში? გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით ინვესტიციების შემოდინებას ხელს უშლის სპეციალისტების განათლების დაბალი დონე 75% (120 პირი), კორუფციის მაღალი დონე 4% (6 პირი), კანონმდებლობის არასაკმარისი

გამჭირვალეობა 6% (9 პირი), ადმინისტრაციული ბარიერები 6% (10 პირი) სასამართლოს არასაკმარისი დამოუკიდებლობა 9% (15 პირი) (იხ. დიაგრამა 3.3)



დიაგრამა 3.4. რამდენად ხელმისაწვდომია ინვესტიციები საქართველოს რეგიონებში?

კითხვაზე რამდენად ხელმისაწვდომია ინვესტიციები საქართველოს რეგიონებში? გამოკითხულთა 50%-მა (80 პირმა) განაცხადა, რომ ინვესტიციები ხელმისაწვდომია რეგიონებში, 36 %-ის (58 პირი) აზრით კი ეს ინვესტიციები ერთნაირად ხელმისაწვდომია ყველა რეგიონში, 13% (20 პირი) ფიქრობს, რომ მაღალია მხოლოდ თბილისში, ხოლო 1%-ის (2 პირი) აზრით ინვესტიციები საქართველოში არ არის ხელმისაწვდომი (იხ. დიაგრამა 3.4).

გამოკითხულ რესპოდენტთა აზრი მნიშვნელოვნად გაიყო კითხვაზე თქვენი აზრით, თანამედროვე გადასახედიდან, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, რომელ სექტორში უნდა გაიზარდოს ინვესტიციების მოცულობები საქართველოში? რესპოდენტთა 47%-ის (87 პირი) აზრით ინვესტიციების მოცულობები უნდა გაიზარდოს სოფლის მეურნეობაში, 22%-ის (35 პირი) აზრით ტურიზმში, 18% (29 პირი) ფიქრობს, რომ გადამამუშავებელ მრეწველობაში, 9% (15 პირი) საფინანსო სექტორში, 2%-ის (3 პირი) აზრით მშენებლობაში, 1% ჯანდაცვაში, ხოლო 1%- მა მიუთითა ეკონომიკის სხვა სფერო.



დიაგრამა 3.5. თქვენი აზრით, თანამედროვე გადასახედიდან, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, რომელ სექტორში უნდა გაიზარდოს ინვესტიციების მოცულობები საქართველოში?

საქართველოში ინვესტიციების შემოდინების პრობლემის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანი იყო გამოკითხვის ანკეტის შემდგომი კითხვა, თუ რა ღონისძიებები უნდა განახორციელოს საქართველოს ხელისუფლებამ, რომ გაიზარდოს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება? გამოკითხულ რესპოდენტთა დიდმა უმრავლესობამ 86%-მა (126 პირი) განაცხადეს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ინვესტიციების გაზრდის ხელშეწყობისათვის უნდა შექმნას სტაბილური ბიზნეს გარემო, 10%-ის (16 პირი) აზრით მან უნდა შეამციროს გადასახადები ბიზნესისათვის, 3% ფიქრობს, რომ უნდა შეიქნას პირობები ჯანსაღი კონკურენციისათვის, ხოლო 1%-ის აზრით უნდა დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა (იხ. დიაგრამა 3.6).



დიაგრამა 3.6. რა ღონისძიებები უნდა განახორციელოს საქართველოს ხელისუფლებამ, რომ გაიზარდოს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება?

კითხვაზე თქვენი აზრით, უცხოური ინვესტიციების შემოდინების გაზრდის, რომელი დადებით შედეგი არის უფრო მნიშვნელოვანი მოსახლეობისათვის? გამოკითხულ რესპოდენტების მნიშვნელოვანმა უმრავლესობამ 70%-მა (112 პირი) განაცხადეს, რომ ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინების მოცულობის გაზრდისათვის უნდა განავითაროს ეროვნული წარმოება და სოფლის მეურნეობა, 18%-ის (28 პირი) აზრით უნდა ქვეყანაში შეიქმნას დამატებითი სამუშაო ადგილები, რესპოდენტთა 6-6%-ის (10-10 პირი) აზრით საჭიროა სოციალური სფეროს გაუმჯობესება და სიღარიბის დონის შემცირება. (იხ. დიაგრამა 3.7).



დიაგრამა 3.7. თქვენი აზრით, უცხოური ინვესტიციების შემოდინების გაზრდის, რომელი დადებით შედეგი არის უფრო მნიშვნელოვანი მოსახლეობისათვის?



დიაგრამა 3.8. თქვენი აზრით, რა ფორმით უნდა იქნეს მოზიდული უცხოური ინვესტიციები?

გამოკითხვის კითხვარის ბოლო კითხვაზე თქვენი აზრით, რა ფორმით უნდა იქნეს მოზიდული უცხოური ინვესტიციები? გამოკითხულთა 47 %-მა (76 პირი) უპასუხა, რომ ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია საწარმოსთან ქართული კომპანიის მიერ ერთობლივი საწარმოს შექმნით, 36% (58 პირი) ფიქრობს, რომ ამისათვის სასურველია ქვეყანაში ტრანსნაციონალური კორპორაციის შვილობილი კომპანიები დაარსდეს, 16%-ის (25 პირი) აზრით ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის ექსპორტით, ხოლო 1%-ი აზრით ყოველივე ამისათვის საჭიროა, რომ სახელმწიფომ აიღოს კრედიტები (იხ. დიაგრამა 3.8).

ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულ პირთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელი ფაქტორია, გამოკითხვისას საკმაოდ მცირე ნაწილი დაფიქსირდა ვინც აღნიშნა ის გარემოება, რომ ინვესტიციები არ იყო საჭირო ეკონომიკის განვითარებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ კვლევისას გამოიკვეთა მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დამოკიდებულება, განსახორციელებელი ინვესტიციებთან დაკავშირებით, ამ მხრივ უმრავლესობის აზრით საჭიროა სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში განხორციელდეს მეტი ინვესტიცია, შედარებით ნაკლები მომხრე აღმოჩნდა

ტურიზმის სექტორში ინვესტიციების მოზიდვას, ეს მაჩვენებელი გამოწვეულია, ერთის მხრივ იმით, რომ გამოკითხვა ჩატარებულ იქნა 2020 წლის COVID-19-ის პანდემიის დროს, რამაც გარკვეული გავლენა იქონია აღნიშნულთან დაკავშირებით. ასევე აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, უნდა მოხდეს ტრანსნაციონალურ კომპანიებთან ერთად ერთობლივი კომპანიების დაარსება, აღნიშნულმა ფაქტორმა შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაზარდოს უცხოური ინვესტიციების შემოდინების მოცულობა. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, უნდა მოხდეს სტაბილური ბიზნეს გარემოს შექმნა, რაც მიმზიდველს გახდის უცხოელებისთვის ჩვენს ქვეყანას, რათა განახორციელონ ინვესტიციები, ეს კი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელთან დადებით ასპექტებს ქმნის.

3.3. საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის უცხოური ინვესტიციების შემოდინების გაუმჯობესების გზები მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკებზე, მათ შორის ქართული ეკონომიკის განვითარების ტენდენციებზეც. მსოფლიოს ქვეყნები, როგორც განვითარებული ისე განვითარებადი ორიენტირებულნი არიან მოიზიდონ საკუთარ ქვეყნებში, რაც შეიძლება მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, ამისათვის უპირველეს ყოვლისა ქმნიან მიმზიდველ საინვესტიციო გარემოს, რათა გლობალურ კონკურენტულ პირობებში მიიზიდონ მეტი სასურველი ინვესტიცია, რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ ეკონომიური განვითარების და გაჯანსაღებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. (ნ.ჭითანავა 2010)

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების გაუმჯობესების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის ლიბერალიზაცია, რაც მნიშვნელოვან ასახვას პოულობს კანონმდებლობაში და გადასახადების მიმართულებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობ ფაქტორად ასევე მიიჩნევა ბიუროკრატიული აპარატის

მოქნილობა, რაც უპირველესად ვლინდება ბიზნესის დაწყების გამარტივების ფორმებში, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს ბიუროკრატიულ პროცედურებს, როგორც მსხვილი ისე წვრილი ინვესტორებისთვის. 2019 წლის მსოფლიო ბანკის ანგარიშის თანახმად „ბიზნესის კეთების“ მიხედვით საქართველომ 190 ქვეყანას შორის მე-6 ადგილი დაიკავა (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2019). 2019 წელს 83.28 ქულით განისაზღვრა. ბიზნესის დაწყება მე-2 ადგილი (99.34 ქულა), მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა (მე-2 ადგილი), ქონების რეგისტრაცია მე-2 ადგილი, მშენებლობის ნებართვები (27-ე ადგილი), გადახდისუნარიანობა 56.0 ქულა, ვაჭრობა საზღვრებს მიღმა 43-ე ადგილი (90.03 ქულ) (The world bank 2019). აღნიშნული ფაქტორები, მნიშვნელოვნად დადებით გავლენას ახდენს უცხოელი ინვესტორებისათვის ინვესტიციების განხორციელების პროცესში. ბიზნესის კეთების სიმარტივე და მოწინავე პოზიციები მსოფლიო ბანკის რეიტინგში დამოკიდებულია, ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმებთან და ლიბერალურ მიდგომებთან, რაც დადებითად მოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე და უცხოური ინვესტორების მოსაზიდად. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ინვესტირების უპირატესობებს საქართველოში განეკუთვნება შემდეგი ფაქტორები, ესენია:

- დაბალი გადასახადები;
- მარტივი და სამართლიანი საგადასახადო ადმინისტრირება;
- არაკორუმპირებული მთავრობა, რომელიც ორიენტირებულია ბიზნესის მხარდაჭერაზე;
- საბანკო სექტორის სტაბილურობა;
- ლოჯისტიკისა და წარმოებისათვის სტაბილური ენერგო მიწოდება, რომელიც უზრუნველყოფილია სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო წვდომით;
- შრომის კანონმდებლობის მოქნილობა და სხვა.

ბიუროკრატიული აპარატის მოქნილობა და კორუფციის დონის კლება მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების

ქართულ ეკონომიკაში შემოდინების თვალსაზრისით. Transparency International“-ის „კორუფციის აღქმის ინდექსი“, აღნიშნული ინდექსი არის კორუფციის აღქმის მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით, რაც გამოითვლება სხვადასხვა კომპეტენტური საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის მიერ. 2016 წლის კვლევების თანახმად 57 ქულა აქვს საქართველოს და 44-ე ადგილზეა 176 ქვეყანას შორის. 2018 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოს 58 ქულა და 41-44 ადგილებს იყოფს, აღნიშნული კვლევა 180 ქვეყანაში ჩატარდა. 2019 წლის თანახმად საქართველოს 56 ქულა აქვს და 44-ე ადგილს იყოფს კოსტარიკასთან, ჩეხეთთან და ლატვიასთან. (Transparency International 2019)



წყარო: მსოფლიო ბანკის ყოველწლიური ანგარიში „Doing Business in Georgia 2019“, http://www.economy.ge/uploads/publications/economy_774326475d10650591bcb6.91945485.pdf

დიაგრამა 3.9. საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა გამოსახული სხვადასხვა ინდექსით 2012; 2018; 2019 წწ

აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, საქართველოს პოზიცია საერთაშორისო დონეზე საჭიროებ დამატებით ძალისხმევას, რათა გაიზარდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, ამისათვის კი მნიშვნელოვნად უნდა დაიხვეწოს მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ინვესტორების მოზიდვას გლობალურ კონკურენტუნარიან გარემოში, ამასთან ერთად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, სტაბილური გარემოს

უზრუნველყოფა ბიზნესისათვის. ამასთან ერთად ქვეყნის ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ხელშემწყობ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები, რაც შეიძლება გახდეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი ბერკეტი, განსაკუთრებით შესაძლებელია მოზიდულ იქნეს აზიური ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რაც პოზიტიურად იმოქმედებს ქვეყნის განვითარების ტენდენციაზე.

აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, რაც ვლინდება ეკონომიკის სექტორების ზრდის ტემპებში და უმუშევრობის დონის შემცირებაში. უმუშევრობის დონის შემცირება ნათელი მაგალითია თუ რაოდენ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციები ქართული ეკონომიკის გაჯანსაღების საქმეში.

დასკვნა

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური გლობალიზაციის პიროებში, ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობისა და პრობლემების, ამ სფეროში უცხოეთის ქვეყნების მდიდარი გამოცდილების და საქართველოში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების მდგომარეობის შესწავლის, ასევე ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზის შედეგად ჩამოვაყალიბეთ შემდეგი დასკვნები და წინადადებები:

1. ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უცხოურ ინვესტიციებს განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკებისათვის, როდესაც იცვლება მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, როგორიც არის საქართველო, დამახასიათებელია შიდა ინვესტიციების ნაკლებობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეკონომიკა სულ უფრო ურთიერთდაკავშირებული ხდება გლობალიზაციის პირობებში. ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს, თუ რამდენად კონკურენტუნარიანია ქვეყნის ეკონომიკა გლობალურ სივრცეში.

2. კვლევაზე მუშაობისას გამოიკვეთა მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები, რაც მწვავედ დგას ქართული ეკონომიკის წინაშე გლობალიზაციის პირობებში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყნის მასშტაბით კონცენტრირებულია ძირითადად მსხვილ ქალაქებში, მაგრამ თითქმის 80% შემოსული ინვესტიციების მოდის თბილისზე, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის თანმიმდევრული და მდგრადი განვითარების თვალსაზრისით.

3. საქართველოს ეკონომიკისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელება ისეთ მსხვილ სექტორებში, როგორიც არის მაგალითად მშენებლობა, სამთომომპოვებელი, საფინანსო სექტორი, სასტუმროები და რესტორნები და სხვა.

4. მოძიებული მასალების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა უმუშევართა კლების ტენდენციას ქმნის. ასევე გამოიკვეთა, რომ სექტორებში სადაც განხორციელდა ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია დასაქმებულთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა მომდევნო წლებში, მაგალითად 2016 წელს სამშენებლო სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 176 511,7 მლნ აშშ დოლარი დაფიქსირდა 2017 წელს დასაქმებულთა რაოდენობა 76 187 ათას ადამიანს შეადგინა.

5. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციები ახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. გავლენის ხასიათი - დადებითი ან უარყოფითი ეფექტი დამოკიდებულია მიმღები ქვეყნის მახასიათებლებზე. ასევე მიმღები ქვეყნის მმართველობით უნარებზე და ტექნოლოგიურ განვითარებაზე. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე გამოდევნის ეფექტით ხასიათდება. მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყანაში დაიწყო საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა, რაშიც დიდი დადებითი როლი შეასრულა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ნაკადებმა.

6. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების ხელშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენს ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, საჭირო კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსების არ არსებობა, არამდგრადი პოლიტიკური და გეოპოლიტიკური გარემო, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ინვესტიციების მოზიდვის პროცესში, აღნიშნულ გარემოებას ასევე ემატება რუსეთ-საქართველოს შორის მტრული და კონფლიქტური გარემო, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს გლობალიზაციის პროცესში ქვეყანაში პირდაპირი ინვესტიციების შემოდინების პროცესს. პრობლემურ ჩამონათვალში, შეგვიძლია მოვიაზროთ საგადასახადო სისტემის ხარვეზები, და ნაკლებად მოქნილი მოდელი უცხოელ ინვესტორებზე, მაგრამ ამის მიუხედავად ქართული სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული რეფორმებმა, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიკვეთა ბიუროკრატიული აპარატის მოწესრიგებით და კორუფციის ნიშნულის მკვეთრი დაცემით, შექმნა დადებითი ატმოსფერო, რათა ერთიან გლობალურ სისტემაში საქართველო გამხდარიყო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა

მსოფლიო მასშტაბით. აღნიშნულს ადასტურებს, საქართველოს მოწინავე პოზიციები ბიზნესის კეთების კუთხით.

7. პრობლემების დაძლევის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის დასტაბილება, საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებთან მიზანმიმართული ინტეგრაცია და რა თქმა უნდა ქვეყნის ფინანსური რისკების შემცირება. ამასთანავე აუცილებელია კერძო სექტორის წახალისება და ზოგადად სამართლიანი და დაცული ბიზნეს გარემოს შექმნა.

8. მოძიებული მასალების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება, რომ საქართველოს პოზიცია საერთაშორისო დონეზე საჭიროებს დამატებით ძალისხმევას, რათა გაიზარდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, ამისათვის კი მნიშვნელოვნად უნდა დაიხვეწოს მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა, რაც გაზრდის ინვესტორების მოზიდვას გლობალურ კონკურენტუნარიან გარემოში, ამასთან ერთად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, სტაბილური გარემოს უზრუნველყოფა ბიზნესისათვის. ქვეყნის ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ხელშემწყობ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები, რაც შეიძლება გახდეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი ბერკეტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთავრობის ძალისხმევის გაზრდა აზიური ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოზიდვისათვის, რაც პოზიტიურად იმოქმედებს ქვეყნის განვითარების ტენდენციაზე.

9. თანამედროვე მსოფლიოში, გლობალური პანდემიის გამო მიმდინარე ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის პირობებში, დიდი მნიშვნელობა ქართული ეკონომიკისათვის რეცესიის შესაჩერებლად ენიჭება უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. საქართველოს ხელისუფლების აქტიური საქმიანობის წყალობით, მსოფლიოში მიმდინარე რთული პროცესების მიუხედავად, წლის ბოლომდე საქართველოს ეკონომიკაში, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, მოზიდულ იქნება 1,5 მილიარდი დოლარი უცხოური ინვესტიცია. ასევე, დონორი

ორგანიზაციები მზად არიან ქართულ კერძო ბიზნეს, საჭიროების შემთხვევაში, 1,5 მილიარდი დოლარით დაეხმარონ. ინვესტიციების ქვეყანაში შემოდინებას, განსაკუთრებთ შექმნილ რთულ პირობებში, ქვეყნისა და ქართული ბიზნესისათვის აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა.

10. საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის ინვესტიციების როლის და მნიშვნელობის, ასევე საინვესტიციო გარემოს შესწავლისათვის ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა. იგი მდგომარებდა რესპოდენტების გამოკითხვაში. მათი შერჩევა განხორციელდა სტრატიფიცირებული შერჩევის მეთოდით, თვით გამოკითხვა კი მასობრივი გამოკითხვის მეთოდით (რაოდენობრივი კვლევის მეთოდით). კვლევაში მონაწილეობა მიიღო 160-მა რესპოდენტმა. მათგან 34% იყო კაცი, ხოლო 66% ქალი.

11. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულ პირთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელი ფაქტორია, გამოკითხვისას საკმაოდ მცირე ნაწილი დაფიქსირდა ვინც აღნიშნა ის გარემოება, რომ ინვესტიციები არ იყო საჭირო ეკონომიკის განვითარებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ კვლევისას გამოიკვეთა მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დამოკიდებულება, განსახორციელებელი ინვესტიციებთან დაკავშირებით, ამ მხრივ უმრავლესობის აზრით საჭიროა სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში განხორციელდეს მეტი ინვესტიცია, შედარებით ნაკლები მომხრე აღმოჩნდა ტურიზმის სექტორში ინვესტიციების მოზიდვას, ეს მაჩვენებელი გამოწვეულია, ერთის მხრივ იმით, რომ გამოკითხვა ჩატარებულ იქნა 2020 წლის COVID-19-ის პანდემიის დროს, რამაც გარკვეული გავლენა იქონია აღნიშნულთან დაკავშირებით. ასევე აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, უნდა მოხდეს ტრანსნაციონალურ კომპანიებთან ერთად ერთობლივი კომპანიების დაარსება, აღნიშნულმა ფაქტორმა შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაზარდოს უცხოური ინვესტიციების შემოდინების მოცულობა. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, უნდა მოხდეს სტაბილური ბიზნეს გარემოს შექმნა, რაც

მიმზიდველს გახდის უცხოელებისთვის ჩვენს ქვეყანას, რათა განახორციელონ ინვესტიციები, ეს კი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელთან დადებით ასპექტებს ქმნის.

ამრიგად, აღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, რაც ვლინდება ეკონომიკის სექტორების ზრდის ტემპებში და უმუშევრობის დონის შემცირებაში. უმუშევრობის დონის შემცირება ნათელი მაგალითია თუ რაოდენ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციები ქართული ეკონომიკის გაჯანსაღების საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვარადაშვილი მ. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან 1.5 მილიარდ აშშ დოლარს მივიღებთ – გახარია. ნეტგაზეთი. თბ. 2020. https://netgazeti.ge/news/443233/
2. ოქროცვარიძე ა., ლაჭყეპიანი თ., ოქროცვარიძე ლ. ,,მსოფლიო ეკონომიკა“, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, თბილისი 2010.
3. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. http://www.economy.ge/index.php?page=ecoreview&s=37
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საგარეო ვაჭრობის პორტალი. http://ex-trade.geostat.ge/ka
6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, „მსოფლიო ბანკის "Doing Business 2019" რეიტინგში საქართველო მე-6 ადგილზეა“ თბ. 2019. https://mof.ge/News/8726
7. სიხარულიძე დ., ჭარაია ვ. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები: თეორია და საქართველოს გამოცდილება“ თბილისი 2018. 203 გვ. http://eprints.tsu.ge/1205/1/%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf

8. ძეგველიშვილი ლ., "პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე". ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი, №7. დეკემბერი, 2018. გვ. 37-58. http://jyr.tsu.ge/public/uploads/sitepdf/04-%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%92%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf
9. ჭარაია ვ, „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის (საქართველოს მაგალითზე). ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, დისერტაცია, 2015.
10. ჭითანავა ნ. "გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები". კრებულში: საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი 8. თბ., 2010. გვ. 87.
11. Беляев Д.В. „Тенденции развития прямых иностранных инвестиций в условиях глобализации„ Молодой ученый. – М., 2013. – № 5. – С. 253–263 https://moluch.ru/archive/52/6718/
12. Вальрас Л, Элементы чистой политической экономии. М.: Изограф, 2000. 448 с. (125) https://www.twirpx.com/file/420009/
13. Гордячкова О. В. Управление привлечением иностранных инвестиций на региональном уровне. Диссертация. Якутск, 2018. С. 179. https://search.rsl.ru/ru/record/01009872580
14. Гусейнов Г.Г."Конкуренция в эпоху глобализации" Внешнеэкономический бюллетень. 2002. N 2. С. 6.
15. Добрынин А.И.,.Тарасевич Л.С „Экономическая теория". М. 2014. https://www.twirpx.com/file/1485950/
16. Домар Эв, „Расширение капитала, темпов роста и занятости" Эконометрика. 1946. Т. 14, № 2. С. 137–147.
17. Журавлева, Г. П. Экономическая теория. Макроэкономика - 1, 2 , 3-е изд. Москва, 2016. 920 с. https://znanium.com/catalog/product/415007
18. Игонина Л.Л „Инвестиции: учеб. Пособие" под ред. д-ра экон. наук, проф. Слепова В. А. М.: Экономистъ, 2010. 478 с. (49) https://laws.studio/biznes-investirovanie/investitsii-igonina.html

19. Кобб Ч., Дуглас П. „Теория производства“, Обзор американской экономики. 1928. № 18. С. 139–165

20. Красавиной Л.Н. Международные валютно-кредитные и финансовые отношения: учебник. 2-е изд., перераб. и доп. М.: Финансы и статистика, 2000. 608с. https://institutiones.com/download/books/1395-mezhdunarodnye-valyutno-kreditnye-i-finansovye-otnosheniya.html

21. Мовсесян А.Г., „Американские транснациональные корпорации в современной мировой экономике“ Общество и экономика. 2001. N 10. С. 103-105.

22. Нешитая А.С, „Инвестиции: Учебник. 5-е изд., перераб. и испр. М.: Издательско-торговая корпорация“. Дашков и Ко", 2012. 372 с. https://laws.studio/biznes-investirovanie/investitsii-uchebnik-izd-pererab-ispr.html

23. Солоу Р. „Вклад в теорию экономического роста“, Ежеквартальный журнал экономики. 1956. № 70. С. 65–94.

24. Харрод Р, „Теория экономической динамики“ Экономический журнал. 1939. № 49. С. 14–33

25. Хансен Эл, „Экономический прогресс и снижение роста населения“ Обзор американской экономики. 1939. № 29

26. Шумпетер Й. А., „Теория экономического развития“. 1982. 203 с. https://socioline.ru/book/j-shumpeter-teoriya-ekonomicheskogo-razvitiya

27. Эталонное определение ОЭСР для иностранных прямых инвестиций. 4-е издание. 2008 г. Ст. 277. https://www.oecd.org/daf/inv/investmentstatisticsandanalysis/46229224.pdfhttp://www.oecd.org/daf/internationalinvestment/investmentstatisticsandanalysis/46229224.pdf

28. Akamatsu K.A., „Historical Pattern of Growth in Developing Countries“, The Developing Economies. 1962, March-August. Vol.1. P. 3–25.

29. Balasubramanyam V. S. Foreign Direct Investment and Growth in EP and IS Countries. Economic Journal vol. 106(434), 1996. Pages 92-105. https://ideas.repec.org/a/ecj/econjl/v106y1996i434p92-105.html

30. Borensztein E.J.W. How does foreign direct investment affect economic growth? Journal of International Economics 45. 1998. P. 115-135. https://olemiss.edu/courses/inst310/BorensztеinDeGLee98.pdf

31. "Brownfield Investment",CFI https://corporatefinanceinstitute.com/resources/knowledge/strategy/brownfield-investment/
32. Caves R.E., "Multinational firms, competition, and productivity in host country markets", Economica. 1974. Vol. 41. P.176–193.
33. Dunning J.H, „International Production and The Multinational Enterprise." London: Allen & Unwin. 1981.
34. Hymer S.H., „The International Operations of National Firms: a Study of Direct Investment" Ph.D thesis. Massachusetts Institute of Technology, 1976. P. 253.
35. Kindleberger C.P., „American Business Abroad". New Haven, 1969. P. 206–207
36. Marshall A.. „The pure theory of foreign trade and the pure theory of domestic values". L. 1879. https://www.abebooks.fr/pure-theory-foreign-trade-domestic-values/5628785683/bd
37. OECD Benchmark Definition of Foreign Direct Investment, 4th edition, April 2008; https://unstats.un.org/unsd/EconStatKB/KnowledgebaseArticle10421.aspx
38. Rutihinda C.. „Impact of Globalization on Small and Medium Size Firms in Tanzania". January Vol. 8 No.1, 23, Hawaii, USA, 2017. https://www.scirp.org/(S(351jmbntvnsjt1aadkposzje))/reference/ReferencesPapers.aspx?ReferenceID=1963074
39. Sikharulidze D. The Impacts of FDI on Domestic Investment (in case of Georgia) Social and Economic Revue. Faculty of Social and Economic Relations; Volume 13. 2015.
40. The world Bank. Ease of Doing Business in Georgia. https://www.doingbusiness.org/en/data/exploreeconomies/georgia
41. Tobin J. Essays in Economics, 1972-1982..https://www.jstor.org/stable/3502232?seq
42. Trading economic,"Ease of Doing Business in Georgia", 2019. https://tradingeconomics.com/georgia/ease-of-doing-business
43. „Transparency International" 2019. https://transparency.ge/ge/post/2019-clis-korupciis-agkmis-indeksis-shedegebi-sakartvelos-antikorupciuli-reformebis-stagnaciaze
44. UNCTAD Training Manual of Statistics for FDI and the operations of TNCs. Volume 1. FDI Flows and Stocks. – UN, New York and Geneva, 2009. - URL: http://unctad.org/en/docs/diaeia20091_en.pdf

45. Vernon R., „International Investment and International Trade in the Product Cycle“, The Quaterly Journal of Economics. London, 1966. Vol. 80 (2). P. 190–207.

46. World Bank Report, 2013, P. 63. (28) https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/16091/9780821399378.pdf?sequence=1&isAllowed=y

47. World investment report 2018, investment and new industrial policies, https://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2018_en.pdf

დანართები

დანართი 1,

კვლევაში მონაწილე რესპოდენტების გამოკითხვის ანკეტა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ქართული ეკონომიკის განვითარებაში

1. **ასაკი?**

- 18-25 წლამდე
- 25-40 წლამდე
- 40-65 წლამდე
- 65 წელს ზევით

2. **სქესი?**
    - **მამრობითი**
    - **მდედრობითი**
3. **განათლება?**
    - საშუალო
    - უმაღლესი
4. **თქვენი აზრით , საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია თუ არა უცხოური ინვესტიციების შემოდინების გაზრდა?**

- აუცილებელია.
- არ არის აუცილებელი.
- მიჭირს პასუხის გაცემა.

5. **ბოლო წლებში გაუმჯობესდა თუ არა საინვესტიციო კლიმატი საქართველოში?**
    - კი.
    - არა.
    - მიჭირს პასუხის გაცემა.
6. **ძირითადად რა უშლის უცხოური ინვესტიციების შემოდინებას საქართველოში?**
    - კორუფციის მაღალი დონე.
    - კანონმდებლობის არასაკმარისი გამჭირვალეობა.
    - ადმინისტრაციული ბარიერები.
    - სასამართლოს არასაკმარისი დამოუკიდებლობა.
    - სპეციალისტების განათლების დაბალი დონე.
7. **რამდენად ხელმისაწვდომია ინვესტიციები საქართველოს რეგიონებში?**
    - არ არის ხელმისაწვდომი.
    - ნაკლებად არის ხელმისაწვდომი.
    - ყველა რეგიონში ერთნაირად არის ხელმისაწვდომი.
    - ხელმისაწვდომია ძირითადად თბილისში.
8. **თქვენი აზრით, თანამედროვე გადასახედიდან, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, რომელ სექტორში უნდა გაიზარდოს ინვესტიციების მოცულობები საქართველოში?**

- სოფლის მეურნეობაში.
- ტურიზმში.
- საფინანსო სექტორში.
- გადამამუშავებელ მრეწველობაში.
- ჯანდაცვაში.
- მშენებლობაში.
- სხვა.

9. **რა ღონისძიებები უნდა განახორციელოს საქართველოს ხელისუფლებამ, რომ გაიზარდოს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება?**
    - გააუმჯობესოს საკანონმდებლო ბაზა.
    - შეამციროს გადასახადები ბიზნესისათვის.
    - შექმნას სტაბილური გარემო ბიზნესისათვის.
    - შექმნას პირობები ჯანსაღი კონკურენციისათვის.
10. **თქვენი აზრით, უცხოური ინვესტიციების შემოდინების გაზრდის, რომელი დადებით შედეგი არის უფრო მნიშვნელოვანი მოსახლეობისათვის?**
    - დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა.
    - ეროვნული წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარება
    - სოციალური გარემოს გაუმჯობესება.
    - სიღარიბის დონის შემცირება.
11. **თქვენი აზრით, რა ფორმით უნდა იქნეს მოზიდული უცხოური ინვესტიციები?**
    - სახელმწიფოს მიერ კრედიტის აღებით.
    - უცხოურ საწარმოსთან ქართული კომპანიის მიერ ერთობლივი საწარმოს შექმნით.
    - ქვეყანაში ტრანსნაციონალური კორპორაციის შვილობილი კომპანიის დაარსებით.
    - წარმოებული პროდუქციის ექსპორტით.

დანართი 2



დიაგრამა. კვლევაში მონაწილე რესპოდენტების განაწილება ასაკის მიხედვით

დანართი 3.



დიაგრამა. კვლევაში მონაწილე რესპოდენტების განაწილება სქესის მიხედვით

დანართი 4.



დიაგრამა. კვლევაში მონაწილე რესპოდენტების განაწილება განათლების მიხედვით